ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 6 – 7 აგვისტო, 2016

№185 (7111)

ფასი: 50 თეთრი

## რატომ თქვა უარი ლექსო თამაზაშვილმა მაჟორიტარობაზე?

გვ.2



# ხიდაშელი — ზესტაფონში, უსუფაშვილი — საბურთალოზე



სიის მეხუთე ნომერი ვახტანგ ხმალაძე კვლავ დიდუბის მაჟორიტარად იყრის კენჭს. თამარ კორძაია სიაში მეექვსეა. მას სამაჟორიტარო მთაწმინდის ოლქი ებოძა.



გვ.2

## პარლამენტის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრს დებატებში იწვევს

## რუსეთის თავდაცვის მინისტრმა საქართველოში პარტია დააფუძნა



გვ.5

მეგი გოცირიძე: ხელისუფლება სიტუაციის დაძაბვას რუსი ტურისტების დახმარებით აპირებს“



## სოსო ცინცაძე: „არჩევნების წინ ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდება“

გვ.3

## შოთა მალაშხია: „ოცნება“ ხალხს ახალს ვერაფერს შესთავაზებს“

„ეკონომიკას მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში ეშველება“ გვ. 4

ISSN 1987-9385



## ერდოღანი ობამას ბრალდებებს უყენებს



გვ.6

სტამბოლის ბაზარი რუსულად

# ხიდაშელი — ზესტაფონში, უსუფაშვილი — საბურთალოზე

შორენა მარსაგიშვილი

**რესპუბლიკური პარტია აქტიურ საარჩევნო კამპანიაში ჩაება. 5 აგვისტოს მათ პარტიული სიის პირველი ნაწილი წარმოადგინეს. პარტიამ მაჟორიტარობის კანდიდატებიც გაამხილა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის ყოფილი მინისტრი საგარეჯოში აპირებდა ძალების მოსინჯვას. ამისთვის საგანგებოდ ემზადებოდა ირმა ინაშვილი.**





## პარლამენტის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრს დებატებში იწვევს

აღმოჩნდა, რომ ინაშვილის ოცნებებს ახდენა არ უწერია, რადგანაც ხიდაშელი სხვა რაიონში იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი.

მათი საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით უსუფაშვილი იქნება, რომელიც საბურთალოს რაიონის №6 მაჟორიტარულ ოლქშიც იყრის კენჭს. ხათუნა სამნიძე სიის მეორე ნომერი და, იმავდროულად, ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება.

ლევან ბერძენიშვილი სიის მესამე ნომერი და ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება. თინა ხიდაშელი ზესტაფონის მაჟორიტარობის კანდიდატი და სიის მეოთხე ნომერია.

სიის მეხუთე ნომერი ვახტანგ ხმალაძე კვლავ დიდუბის მაჟორიტარად იყრის კენჭს. თამარ კორძაია სიაში მეექვსეა. მას სამაჟორიტაროდ მთაწმინდის ოლქი ებოძა.

დავით ზურაბიშვილი საბურთალოზეა წარდგენილი, სიაში კი მეშვიდე ადგილი ერგო. ასევე საბურთალოზე მოსინჯავს ძალებს თამარ ხიდაშელი, რომელიც სიის მერვე ნომერია.

სიის მეცხრე ნომერი ნოდარ ებანოიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, ბაღდათის მუნიციპალიტეტისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ილემის, სანახშირეს, შროშის, ფუთისა და ძირულას ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებში იყრის კენჭს.

სიის მეათე ნომერი ფრიდონ საყვარელიძეა, მე-11 – ბაია რომელაშვილი, მე-12 – გიორგი თოდუა, მე-13 კი – თემურ ნერგაძე.

მე-14 ნომერი მალხაზ წერეთელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის №56 მაჟორიტარულ ოლქშიცაა წარდგენილი, ხოლო №15 ტრისტან ჯინჭარაძე ქობულეთში მოსინჯავს ძალებს. №16 ნინო ლომიძე იქნება. მისთვის ჯერ სამაჟორიტარო არ გამოუნახავთ.

სიის მე-17 ნომერი ზვიად ყვირალაშვილი გურჯაანშიც იყრის კენჭს. მე-18 ნომერი ნატო ქათამაძე ქ.ქუთაისში მოსინჯავს ძალებს. მე-19 ნომრად განთესილი ირინე გელაშვილი ხაშურში მოსინჯავს ძალებს.

* * *

საკუთარი კანდიდატებით კმაყოფილი დავით უსუფაშვილი „ქართულ ოცნებას“ არჩევანს უწუნებს. „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის ამბობს, რომ მაჟორიტარულ ოლქებში წარსადგენი და პარტიული სიის წინა ხაზზე გამოყვანილი კანდიდატები თითქოს სხვადასხვა სამყაროდან არიან. მისი თქმით, ამ მხრივ გამონაკლისს არც სხვა პარტიები წარმოადგენენ.

რამდენიმე კვირის წინ უსუფაშვილს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ მომავალი პარლამენტი არსებულზე უფრო კვალიფიციური იქნებოდა, ასარჩევი ხალხის გასაჯაროების შემდეგ კი ეს იმედი ნელ-ნელა გაუქრა.

— მე ამის იმედი მაქვს, თუმცა ეს იმედი უფრო მეტად მქონდა ორი-სამი კვირის წინ. მაინც იმედიანად ვარ, მაგრამ ბოლო ხანებში ცოტა ვშფოთავ, კერძოდ, კანდიდატების თაობაზე. რამდენიმე პოლიტიკური ძალის შემთხვევაში, მაჟორიტარულ ოლქებში წარსადგენი და პარტიული სიის წინა ხაზზე გამოყვანილი კანდიდატები თითქოს სხვადასხვა სამყაროდან არიან. „ქართულ ოცნებაში“ ეს განსაკუთრებით შეინიშნება.

ახლა ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ერთ-ერთ პრეზენტაციაზე იყვნენ ქალები. ახლა საერთოდ აღარ არიან ქალები – ეს ერთი სერიოზული თემაა, მაგრამ მარტო ამას არ ვგულისხმობ. მე იმას ვგულისხმობ, რომ მოქმედ პარლამენტში ყველაზე უფრო არასაპარლამენტო საქმიანობით დაკავებული ადამიანები ანუ ადამიანები, რომელთაც 4 წლის განმავლობაში, უბრალოდ, არ მოისურვეს პარლამენტარობა... რამდენიმე მათგანი ისევ მაჟორიტარულ ოლქშია დასახელებული. მომავალი პარლამენტის ეფექტურობაზე ეს სასიკეთო გავლენას აშკარად ვერ მოახდენს, – ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.

უსუფაშვილი იმასაც აღიარებს, რომ ზოგიერთი ადამიანი პირველად მოხვდა პარლამენტში, მაგრამ სერიოზული შედეგები აჩვენეს. სპიკერი კონკრეტულ გვარსაც ასახელებს.

— შეიძლება, პიარტექნოლოგიურად არასწორ ნაბიჯად ჩამეთვალოს, რადგან კონკურენტი პარტიის კანდიდატი პოზიტიურ კონტექსტში უნდა ვახსენო, მაგრამ მაინც ვიზამ ამას, რადგან პარლამენტზე მეკითხებით. მაგალითად, დიმიტრი ხუნდაძე, რომელიც ისევ მცხეთაში იყრის კენჭს, ოთხი წლის წინ პარლამენტში ქირურგის ოთახიდან შემოვიდა. მან ქირურგის დანა დადო და მოვიდა პარლამენტში, მაგრამ ამ ოთხი წლის განმავლობაში თავისი მიმართულებით იმდენი იმუშავა, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო პარლამენტარია და, ხვალაც თუ იქნება პარლამენტში, ის პარლამენტს ბევრს და კარგს შესძენს, – აღნიშნავს უსუფაშვილი.

კონსტრუქციულობით გამორჩეული დავით უსუფაშვილი ბოლო ხანებში ძალიან მწვავე განცხადებებს აკეთებს.

მისი განცხადებების სიმწვავემ ცოტა ხნის წინ კვირიკაშვილიც კი შეაწუხა. პრემიერმა პარლამენტის სპიკერს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

თავად უსუფაშვილი ტრაგედიას ვერ ხედავს იმაში, რომ მას და პრემიერს განსხვავებული პოზიციები აქვთ.

სპიკერი ამბობს, რომ ის მზადაა, კვირიკაშვილთან ითანამშრომლოს და, ამავე დროს, მას დებატებშიც იწვევს.

# რატომ თქვა უარი ლექსო თამაზაშვილმა მაჟორიტარობაზე?

შორენა მარსაგიშვილი

**5 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ კახეთის რეგიონში მაჟორიტარები წარადგინა. სავარაუდო მაჟორიტარებთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია იყო გავრცელებული. ყველა ვერსიის თანახმად, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში კენჭი დეპუტატ ლექსო თამაზაშვილს უნდა ეყარა.**

მაჟორიტარების წარდგენამდე რამდენიმე საათით ადრე თამაზაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, საიდანაც შეგვატყობინა, რომ მაჟორიტარობაზე უარს ამბობს.

— ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო და არის ჩვენი გუნდის შემოთავაზება, სიღნაღი-დედოფლისწყაროს გაერთიანებულ ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენის თაობაზე. 2012 წელს ქვეყანაში სხვა გამოწვევები იყო და აუცილებელი, სავალდებულოც კი იყო, ყველა ჯანსაღად მოაზროვნე მოქალაქეს ხმა ამოეღო და შეძლებისდაგვარად შეერთებოდა იმ გადამწყვეტ ბრძოლას, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წამოიწყო ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად უპასუხისმგებლო, დამნაშავე და მოღალატე რეჟიმისგან...

დღეს სხვა რეალობაა, საკუთარი აზრის დაფიქსირებას „გაბედვა“ აღარ სჭირდება და ვიმედოვნებ, რომ არასოდეს აღარ დაბრუნდება მსგავსი დრო საქართველოში.

გულწრფელად გეტყვით, საერთოდ არ მაინტერესებს კრიტიკა და ცილისწამება დამნაშავე, დამარცხებული რეჟიმის წარმომადგენლების ნარჩენებისა თუ მომხრეების მხრიდან, ვინაიდან მიმაჩნდა და დღესაც ამ აზრზე ვარ, რომ მათზე მეტად მიყვარს საქართველო და, მათგან განსხვავებით, არასდროს გადავდგამ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ქვეყანას დააზარალებს..

საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში ბევრია ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, რომელთა კრიტიკა სამართლიანია და მისაღები...

მე რომ მათ ადგილას ვიყო, როგორ პარლამენტარს ვისურვებდი?! უკეთესს, ვიდრე მე ვარ. შესაბამისად, მსურს, რომ ჩემი კუთხე უკეთესმა წარმოადგინოს საკანონმდებლო ორგანოში, ხოლო მე კიდევ ვიმუშავებ, ვიშრომებ, რომ იმაზე უკეთესი გავხდე, ვიდრე დღეს ვარ. ასე რომ, დაველოდოთ, საღამოს გაიგებთ, ვინ იქნება ქიზიყელების, კახელების ინტერესების დამცველი საქართველოს პარლამენტში ჩვენი გუნდიდან.



დაბოლოს, წარმატებას ვუსურვებ ჩვენი გუნდის წარმომადგენლებს ყველა რაიონსა თუ ქალაქში. მჯერა, საქართველოს მოსახლეობა ღირსეულ არჩევანს გააკეთებს, – ვკითხულობთ თამაზაშვილის განცხადებაში.

მისმა ამ განცხადებამ ბევრი კითხვა გააჩინა. მაჟორიტარობის წარდგენამდე კანდიდატურას არავინ ხსნის. გაზეთ „ქრონიკა+“-ის რედაქტორი ელისო კილაძე ამტკიცებს, რომ თამაზაშვილმა კანდიდატურა ივანიშვილის მოთხოვნის საფუძველზე მოხსნა.

თამაზაშვილს მეოცნებეებმა შემცვლელი მალევე მოუძებნეს. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატად კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი წარადგინეს.

— ირაკლიც ჩვენი გუნდის წევრია. ის პროფესიით იურისტია და გახლავთ კახეთის გუბერნატორი. ზედმიწევნით იცის კახეთის პრობლემები. ირაკლი დედოფლისწყაროდან არის. დარწმუნებული ვარ, ძალას არ დაიშურებს სიღნაღელებისა და დედოფლისწყაროელებისთვის და ყველაფერს გააკეთებს პარლამენტში მათი ინტერესების დასაცავად, – განაცხადა მისი წარდგენისას პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა.

თელავისა და ყვარლის მაჟორიტარობის კანდიდატად პოეტ დავით მაღრაძის კანდიდატურა მოიაზრებოდა, საბოლოოდ კი ეს ოლქი „ქართულმა ოცნებამ“ ირაკლი სესიაშვილისთვის გაიმეტა.

ახმეტის მაჟორიტარის შესარჩევად „ოცნებამ“ რამდენიმე კანდიდატურა განიხილა. კენჭისყრა მოქმედ მაჟორიტარ ზურაბ ზვიადაურსაც უნდოდა. მისი დავალებით მისმა მომხრეებმა ახმეტაში ხელმოწერები შეაგროვეს, ამტკიცებდნენ, ხალხი ისევ მას ითხოვსო. დიდი ფიქრის შემდეგ ამ რაიონში თელავის მოქმედი მაჟორიტარი გელა სამხარაული წარადგინეს.

ლაგოდეხში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იქნება გურამ მაჭარაშვილი, რომელიც, პრემიერის განმარტებით, პროფესიით იურისტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი-წევრია.

მას ამ დრომდე შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლის პოსტი ეკავა.

გურჯაანში მაჟორიტარობის კანდიდატად გიორგი კვირიკაშვილმა დავით სონღულაშვილი წარადგინა.

პრემიერის თქმით, სონღულაშვილი პროფესიით ეკონომისტია. განათლება აქვს მიღებული მანჩესტერის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში და, ამასთან, გრენობლის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრია.

საგარეჯოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი კი რომან მუჩიაშვილი იქნება.

— ის პროფესიით ფინანსისტია, საკუთარი პროფესიით მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილებით. საგარეჯოსა და საგარეჯოელებს დიდი გულშემატკივარი და ინტერესების დამცველი გეყოლებათ კანონშემოქმედებით ორგანოში, – აღნიშნა მისი წარდგენისას კვირიკაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „არჩევნების წინ ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების შანსებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, წინასაარჩევნოდ რამდენიმე ბლოკი უკვე შეიქმნა. რამდენად იყო მოსალოდნელი ზურაბ ჯაფარიძის, გიორგი ვაშაძისა და მამუკა კაციტაძის საარჩევნო ერთობა?***

– ვაშაძისა და ჯაფარიძისთვის ეს კავშირი უფრო მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ახალი მემარჯვენეებისთვის. პოლიტიკური წარსული „ახლებს“ უფრო ნორმალური აქვთ. მათ მიმართ საზოგადოებაში არ არის პრეტენზიები და მწვავე კითხვები, რასაც ვერ ვიტყვი ჯაფარიძისა თუ ვაშაძის მიმართ.

ვაშაძემ მეტ-ნაკლებად ქულები, როგორც კარგმა მენეჯერმა, ჩაიწერა, რადგან მის სახელს უკავშირდება იუსტიციის სახლები, მაგრამ, როდესაც საჯარო პოლიტიკაში გამოჩნდა, იქ უკვე გაფერმკრთალდა. რაც შეეხება ზურაბ ჯაფარიძეს, ყველას კარგად გვახსოვს მისი არასამთავრობო ორგანიზაცია, თუ როგორი თავგამოდებით იცავდა ნაციონალურ მოძრაობას, შემდეგ ის პარლამენტში აღმოჩნდა.

ჯაფარიძესა და „გირჩის“ სხვა წევრებს ბიძინა ივანიშვილმა ვაჟკაცები კი უწოდა, მაგრამ ჩაძირვისთვის გამზადებული ხომალდიდან გადმოხტომა მთლად ვაჟკაცური საქციელი არ არის.

***– მსგავსი საარჩევნო ბლოკები კიდევ არის მოსალოდნელი?***

– ჩატარებულ გამოკითხვებს პრაქტიკულად არავინ ენდობა, არც ისინი, ვისაც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები აქვს. ვის რამდენი პროცენტი აქვს, მართალია, ამის გარკვევა რთულია, მაგრამ ეს პარტიები გრძნობენ, რა რეიტინგით სარგებლობენ მოსახლეობაში.

ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა თავისუფალი დემოკრატების, რესპუბლიკელებისა და პაატა ბურჭულაძის პარტიის, ამ ფლანგის გარკვეული საარჩევნო ბლოკი, ისევე, როგორც ბურჯანაძისა და პატრიოტთა ალიანსის.

***– თავისუფალი დემოკრატები აცხადებენ, რომ ისინი არავისთან გაერთიანდებიან. რესპუბლიკელებიც საარჩევნო ბლოკის შესაქმნელად არავისთან ადასტურებენ მოლაპარაკებას.***

– გასაგებია, რომ ისინი არ ადასტურებენ, მაგრამ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. როდესაც პარტიები, თანაც ასეთი პოლიტიკურად გამოცდილი პარტიები, რომელთაც არაერთი არჩევნები გამოუვლიათ, თუ იგრძნობენ, რომ რაღაც უნდა მოიმოქმედონ, მაშინ არაფერი არ არის გამორიცხული.

ნაციონალური მოძრაობა რომ არავისთან გაერთიანდება, ფაქტია. „ოცნება“ ვისთანაც იყო გაერთიანებული, ხელებითა და ფეხებით ყრის, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გათავისუფლდა. ძველი კოალიციის რუდიმენტები მაინც შემორჩათ.

***– როგორ აფასებთ იმ მაჟორიტარ კანდიდატებს, რომლებსაც პრემიერი კვირიკაშვილი წარადგენს და ამ წარდგენას ბევრი ხალხიც ესწრება?***

– მმართველ პარტიას ხალხის გამოყვანა ყოველთვის შეუძლია. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული რესურსი გადამწყვეტია, რაც შეეხება ოპოზიციის შემთხვევას, იქ სხვა ფაქტორებია გადამწყვეტი.

დღეს კვირიკაშვილი მთლიანად წინასაარჩევნო კამპანიაზეა გადართული. ამით კანონი არ ირღვევა, მაგრამ საქმეს აკლდება. მე, სიმართლე გითხრათ, პრემიერის დრო მენანება. თუმცა, კვირიკაშვილს სხვა გამოსავალი არ აქვს, წინასაარჩევნოდ პარტიული ინტერესები მოდის წინა პლანზე.

***– თუ კვირიკაშვილის რეიტინგის გადანაწილება ხდება მთელ „ქართულ ოცნებაზე“?***

– ივანიშვილის შემდეგ ერთადერთი ნორმალური პიროვნება, რომლის მოსასმენადაც ხალხი გამოვა, არის გიორგი კვირიკაშვილი. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ გამოსვლებში ის გამოდის, როგორც პრემიერ-მინისტრი და არა, როგორც პარტიის თავმჯდომარე. საპარლამენტო რესპუბლიკაში პრემიერის ხელში ძალზე დიდი ადმინისტრაციული რესურსია. ეს ფაქტორიც არის.



***– ბიძინა ივანიშვილმა თავიდან განაცხადა, რომ ის არჩევნების პროცესში აქტიურად ჩაერთვებოდა, მაგრამ დღეს ის არსად არ ჩანს. რატომ?***

– მე ვიტყოდი – ჯერჯერობით არ ჩანს. ახლა აგვისტოა, საკმაოდ ცხელა და მიტინგებზე სიარულის აუცილებლობას, ჩემი აზრით, ის ვერ ხედავს. ვინაიდან დღეს ყველა პირობაა შექმნილი, ზოგი ბუნებრივად, ზოგი ხელოვნურად, იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 8 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვოს. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ სექტემბერში ივანიშვილი აქტიურად გამოჩნდება და მხარს დაუჭერს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ არა ისეთი აქტიურობით, როგორც ეს 2012 წლის არჩევნებზე იყო.

უნდა ითქვას, რომ ივანიშვილმა ცოტა იმედგაცრუებაც, გულაცრუებაც ნახა. შიგნიდან ნახა, თუ ვის რა ფასი აქვს ქართულ პოლიტიკაში. ივანიშვილი ჭკვიანი კაცია და არ გამოვა და არ იტყვის, ეს რა ხალხი შევყარე პარლამენტშიო. მაშინ ლოგიკური კითხვა ჩნდება: რატომ დაგვტოვე ამ ხალხის პირისპირ ეს ოთხი წელი?!

ივანიშვილი აღფრთოვანებული რომ არ არის თავისი ე.წ. გუნდით, ამას უკვე ბრმაც ხედავს და ყრუსაც ესმის. მიუხედავად ამისა, ის თუ შეატყობს სექტემბერში, რომ პარტიას უჭირს, გამოვა და ყველაფერს გააკეთებს, რომ გადაარჩინოს.

# ჯუმბერ თავართქილაძე: „აჭარის უმაღლესი საბჭო ჭაობია“

გულიკო ბალაძე

**ვარშალომიძე 9 წლის განმავლობაში აჭარას ხელმძღვანელობდა და მთელი აჭარა თურქებს მიჰყიდა. მისი ყველა გადაწყვეტილება კრიმინალური იყო. ნუთუ პროკურატურას მის მიმართ კითხვები არ გაუჩნდა?**

**რატომ არ აპატიმრებენ ვარშალომიძეს? — ამ კითხვას სვამს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ერთიანობის კავშირის“ ხელმძღვანელი ჯუმბერ თავართქილაძე, რომელიც ყოფილი ხალხის პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლდათ. ჯუმბერ თავართქილაძე „ახალ თაობასთან“ აჭარაში არსებულ ვითარებას აფასებს.**

***– ბატონო ჯუმბერ, რა სიტუაციაა, ზოგადად, ბათუმში?***

– ზოგადად, ბათუმში სიტუაცია არასახარბიელოა.

***– რა კუთხით?***

– ყველა კუთხით. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის შემდეგ ყველა ხელისუფლებისთვის აქილევსის ქუსლი აღმოჩნდა საკადრო პოლიტიკა. არ უნდა განახორციელო ისეთი საკადრო პოლიტიკა, რომ არ შეეკითხო ხალხს. საკადრო პოლიტიკა ხალხისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება.

***– ტარდება აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები (ასევე ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები). შემდეგ აჭარის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს ხოლმე მთავრობას. როდესაც ხალხის მიერ არჩეული ორგანო წყვეტს კადრების საკითხს, ეს ხალხისთვის შეკითხვა არ არის?***

– სამწუხაროდ, საქართველოში ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ მიჩვეული არ არის არჩევნებში იმ ადამიანისთვის ხმის მიცემას, ვინც მისთვის ღირებულია. ჩვენი საზოგადოება ხმას აძლევს ერთ ადამიანზე დამყარებულ პოლიტიკურ პარტიას, რაც შეცდომაა.

აჭარის უმაღლესი საბჭო რაშია საჭირო, რა სიკეთე მოაქვს ხალხისთვის? სამწუხაროდ, არანაირი სიკეთე არ მოაქვს. აჭარის უმაღლეს საბჭოში ხალხის სახელით არჩეულ ადამიანებს ხმა მისცეს ბიძინა ივანიშვილის ან მიხეილ სააკაშვილის ხათრით. მათი კადრები სხედან უმაღლეს საბჭოში. აჭარის უმაღლესი საბჭო არის ჭაობი. ის ვერ გამოხატავს საზოგადოების ნდობასა და აზრს.

– პრობლემა ხალხში ყოფილა, რადგან ვერ ირჩევს ისეთ დეპუტატებს, რომლებიც მათ აზრს გამოხატავენ.

– 2012 წელს იყო ფორსმაჟორი. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილთან ერთად თამაშობს, თითქოს ნაცმოძრაობა არის რევანშისტული ძალა.

***– ნაცმოძრაობა რევანშისტული ძალა არ არის?***

– ნაცმოძრაობას არავითარი შანსი არ აქვს, რევანშისტული სვლები განახორციელოს და მოვიდეს ხელისუფლებაში. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ. აჭარაში „ქართული ოცნება“ 30%-ზე მეტს ვერ აიღებს. ამბობენ, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში დაბრუნდებიან, მათ აჭარაში ფეხი მოიკიდეს, რაც პოლიტიკური თამაშია. მოვუწოდებ საზოგადოებას, ამ თამაშში არ ჩაერთოს.

***– ნაციონალებიც და „ოცნებაც“ თავიანთი გამარჯვებისთვის იბრძვიან.***

– ნაცმოძრაობას გამარჯვების თეორიული შანსიც კი არ აქვს.

***– მაშინ ის ფართხაფურთხი აჭარაში – ვარშალომიძის ჩამოსვლა და ნაციონალების გააქტიურება – რას ნიშნავს?***

– ეს არის დღევანდელი ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლი ნაცმოძრაობასთან შეთანხმებით.

***– ამის თქმის რა საფუძველი გაქვთ?***

– 2012 წელს მაშინდელმა პრემიერმა განაცხადა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს. მათ უნდათ, თითქოს ამერიკული მოდელი დანერგონ, ორი პარტია იყოს, ხოლო შუა პარტიები გაიკრიფოს. გავიხსენოთ ლევან ბერძენიშვილის სიტყვები (მაშინ ხელისუფლებაში იყო), ჩვენ გვინდა, რომ ნაცმოძრაობა დარჩეს პარტიად.

***– მთლად ასე როგორ იქნება? არა მგონია, ნაციონალები „ოცნების“ თამაშს თამაშობდნენ.***

– მათ ეს აწყობთ. უბრალოდ, ერთ კითხვას დაგისვამთ: ადამიანი 9 წლის განმავლობაში აჭარას ხელმძღვანელობდა და მთელი აჭარა თურქებს მიჰყიდა. მისი ყველა გადაწყვეტილება კრიმინალური იყო. ნუთუ პროკურატურას ვარშალომიძის მიმართ კითხვები არ გაუჩნდა?



**ნაცმოძრაობას არავითარი შანსი არ აქვს, რევანშისტული სვლები განახორციელოს და მოვიდეს ხელისუფლებაში. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ. აჭარაში „ქართული ოცნება" 30%-ზე მეტს ვერ აიღებს. ამბობენ, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. მათ აჭარაში ფეხი მოიკიდეს, რაც პოლიტიკური თამაშია. მოვუწოდებ საზოგადოებას, ამ თამაშში არ ჩაერთოს.**

***– არ გაუჩნდა?***

– თუ პროკურატურას ვარშალომიძის მიმართ კითხვები გაუჩნდა, მტკიცებულებები ვერ იპოვა? ლევან ვარშალომიძეს ყველა კითხვაზე პასუხი ჰქონდა? რას ნიშნავს დღეს ლევან ვარშალომიძის ქუჩაში ხეტიალი? თუ 7 ნოემბრის გამო პასუხისმგებლობას ვაკისრებთ მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს, 8 ნოემბერს ბათუმის უნივერსიტეტში სტუდენტების დარბევა ლევან ვარშალომიძის კისერზეა.

***– გამორიცხულია, ვარშალომიძეს მოეკითხოს პასუხი მის მიერ ჩადენილი ქმედებების გამო?***

– თუ ეს არ არის ხელისუფლებისა და ნაცმოძრაობის თამაში, ვარშალომიძეს ჩადენილის გამო პასუხის უნდა მოეკითხოს.

***– აცხადებთ, ნაციონალებს აჭარაში გამარჯვების არავითარი შანსი არ აქვთო. ის ხელშეკრულებები, რომლებსაც ვარშალომიძე აფორმებს და იქ ხალხი მიდის, ბლეფია?***

– რა თქმა უნდა, ბლეფია. გავიხსენოთ მიხეილ სააკაშვილის, დავით ბერძენიშვილისა და ზვიად ძიძიგურის ხელშეკრულებები თბილისთან. რომელი ხელშეკრულება შეასრულეს, რომ ლევან ვარშალომიძემ შეასრულოს. მეორეც – ლევან ვარშალომიძე ხელისუფლების მეთაურიც რომ გახდეს, ვერცერთ პროექტს ვერ განახორციელებს, თუ მას არ ექნება ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა, რადგან აჭარის შემოსავლების 70% ცენტრალურ ბიუჯეტში მიდის.

***– რას იტყვით იმ შეკრებაზე, სადაც ორი დღის წინ ბათუმში სააკაშვილისა და გიულენის ფიტულები დაწვეს?***

– მინდა მოვუწოდო ყველას, აჭარაში ცხოვრობს ხალხი, რომელსაც შეუძლია სააკაშვილის ფიტულის დაწვაც და სხვისიც. თბილისშიც არის ნაცმოძრაობის ოფისები, ნუ ხარჯავენ ბენზინს და იქ მივიდნენ. თუ ფიტულები დასაწვავია, ჩვენ თვითონ დავწვავთ, გიულენისა იქნება თუ სააკაშვილის.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# შოთა მალაშხია: „ოცნება“ ხალხს ახალს ვერაფერს შესთავაზებს“

## „ეკონომიკას მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში ეშველება“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნოდ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა" ესაუბრა პარლამენტის უმცირესობის წევრს, ქრისტიან-კონსერვატორების ლიდერ შოთა მალაშხიას**



***– თელავში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „სოციალისტური საქართველოს“ წარმომადგენლები და „გირჩის“ წევრები. რითი აიხსნება ეს კონფლიქტი?***

– ამაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებ ხელისუფლებას. ქვეყანაში მოქმედებს თავისუფლების ქარტია, რომელიც კრძალავს საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენებას. ამ კანონის საფუძველზე შეიძლებოდა ექსცესების თავიდან აცილება.

***– ხელისუფლება ეცადა კიდეც კონფლიქტის აცილებას.***

– ეს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ძველ დროში, 90-იან წლებში დაგვაბრუნოს. ირონიულად თუ ვიტყვით, ის გვიბრუნებს სამართლიანობასა და ღირსებას. „ქართული ოცნება“ რუსეთის ინტერესების გამტარებელია. სწორედ ამ ხელისუფლების ბრალია, რომ თელავში თუ სხვაგან გამოდიან პარტიები და აცხადებენ, რომ საქართველოში უნდა იდგეს რუსეთის ბაზები. იგულისხმება ვაზიანი, ახალქალაქი, ბათუმი.

„ქართულ ოცნებას“ 2012 წელს საარჩევნო სიაში ჰყავდა შეყვანილი შალვა ხაჭაპურიძე, კაცი, რომელიც საკუთარ ქვეყანას უჩიოდა.

2008 წელს ომის დაწყებაში საქართველო მარტო ხაჭაპურიძეს არ დაუდანაშაულებია. ამასვე ამბობდა ბიძინა ივანიშვილი. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა ფსბ-ს კადრებით ციხეების შესახებ და გურჯაანში არჩევნების წინა დღეს ბავშვის გარდაცვალების ისტორიით.

არჩევნების წინა დღეს რაფალიანცის დაღუპვა უსინდისოდ დააბრალეს გიორგი ღვინიაშვილს. ცილისმწამებელი მანანა ბერიკაშვილი დღესაც კულტურის მინისტრის მოადგილეა. „ქართული ოცნებისთვის“ გმირები არიან ლადო ბედუკაძე და ტრისტან წითელაშვილი.

***– თელავის კონფლიქტს დავუბრუნდეთ. საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილი ადამიანებიც ხომ არსებობენ?***

– არსებობენ. მათი რაოდენობა მცირეა. ასეთები ჩეხეთსა და პოლონეთშიც არიან, მაგრამ სხვაგან ვერავინ გაბედავს იმას, რასაც აქ ვაკვირდებით. თუ ჩეხეთში საბჭოთა ჯარი ადრე შეიჭრა, ჩვენთან ოკუპაცია და ეთნოწმენდა ახლაც გრძელდება.

საოკუპაციო ზოლის გადმოწევა და ადამიანების გატაცება ხშირია. ამ დროს გამოდიან ჩვენივე მოქალაქეები და ოკუპანტის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ. ეს გაუგონარია.

***– დაახლოებით ერთი კვირის წინ ენდიაიმ კვლევების მორიგი შედეგები გაასაჯაროვა. შეიძლება აქედან რაიმე დასკვნების გამოტანა?***

– წინა კვლევებსაც თუ გავიხსენებთ, შეიძლება იმის თქმა, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა თითქმის თანაზომადი ძალებია. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხულთა 57-მა%-მა არ იცის, ვის მისცემს ხმას, ამ ორი ძალის რეიტინგებიც არაფერს ნიშნავს. ეს იმის მანიშნებელია, რომ პოლიტიკური მინდორი თავისუფალია.

***– ვინ შეძლებს ადგილის დამკვიდრებას ამ თავისუფალ მინდორზე?***

– ის, ვინც ზნეობრივ და სამართლებრივ წესებს შემოიტანს და ამ წესებით ითამაშებს, ოღონდ ეს უნდა იყოს ის ძალა, რომელსაც აქამდე რალაც გაუკეთებია.

***– ანუ სრულიად ახალი სახეები ამ ამოცანას ვერ დაძლევენ?***

– ახალი არაპოლიტიკური სახეები ვერ მიაღწევენ წარმატებას. ადრეც მითქვამს, რომ პაატა ბურჭულაძეს თავიდან ემოციურ ფონზე ექნება მხარდაჭერა, მაგრამ ეს დროებითი იქნება. ხალხმა თავიდან პაატა ბურჭულაძეს ნდობა გამოუცხადა, მაგრამ მერე მოსთხოვა მკაფიო პასუხი იმაზე, თუ რას აპირებს ის პოლიტიკურად. საზოგადოებამ პასუხი ვერ მიიღო. ამიტომ ბურჭულაძის რეიტინგმაც იკლო.

***– „გირჩი“ ვაშაძის პარტიასთან და ახალ მემარჯვენეებთან ერთიანდება. მანამდე საარჩევნო ბლოკი შექმნა პატრიოტთა ალიანსმა...***

– თუ კავშირები დროებითია და წინასაარჩევნო, ამის წინააღმდეგი ვარ. ასეთი დროებითი კავშირები არ ამართლებს. ამის ნათელი მაგალითია უკვე დაშლილი კოალიცია „ქართული ოცნება“. ეს იყო იდეურ-პოლიტიკურ-ზნეობრივი ანომალია.

გაერთიანება უნდა მოხდეს იდეურ საფუძველზე და ის მყარი უნდა იყოს. სიმტკიცის გარკვეული მაგალითია ლეიბორისტული პარტია. მას აქვს მემარცხენე ნიშა. ეს პარტია არავისთან ერთიანდება. რეიტინგის ცვლილების მიუხედავად, მას ჰყავს თავისი ამომრჩეველი. სხვა საქმეა, მოგვწონს თუ არა ეს პარტია და გვაქვს თუ არა რაიმე საერთო ლეიბორისტებთან. ამ დასახელებული გაერთიანებებიდან მყარი არცერთი არ უნდა იყოს.

***– „ქართული ოცნება“ ნაწილ-ნაწილ ასახელებს თავის კანდიდატებს.***

– „ქართული ოცნება“ სიახლეებზეც საუბრობს. სინამდვილეში, ის ხალხს ვერაფერ ახალს ვერ შესთავაზებს. საქმე ისაა, რომ გადაწყვეტილებებს ისევ ერთი კაცი – ბიძინა ივანიშვილი იღებს. საარჩევნო სისტემა ძველია. არც ივანიშვილს შეუცვლია თავისი აზრები. მან შეიძლება შეცვალოს ცალკეული ელემენტები, მაგრამ მთლიანობაში არაფერი შეიცვლება. ეს ელემენტები თავისით ვერაფერს გააკეთებენ.

***– ქრისტიან-კონსერვატორები აპირებთ ვინმესთან გაერთიანებას?***

– კონსულტაციები მიმდინარეობს. საუბარია მემარჯვენე-ცენტრისტული კონსერვატიული დასავლური იდეოლოგიის მქონე ძალებზე. საერთო იდეოლოგია აუცილებელია. გაერთიანებას ასევე სჭირდება შეთანხმება.

***– ენდიაის ოფისის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ საქართველოში ამომრჩეველს იდეოლოგია არ აინტერესებს.***

– იდეოლოგია რომ არ აინტერესებდეს, მაშინ დაახლოებით 30% არ დაასახელებდა ტერიტორიულ მთლიანობას ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. ეს ხდება იმ პირობებში, როცა ადამიანებს უამრავი სოციალური გასაჭირი აქვთ, ხელისუფლება კი სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლითა და სხვა მოქმედებებით ხელს უშლის იმას, რომ მოქალაქეებს სახელმწიფოებრივი ამოცანები ჰქონდეთ. არადა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ეკონომიკასაც გააძლიერებს. ეკონომიკას მხოლოდ ასე ეშველება.

***– კერძოდ?***

– დევნილების დაბრუნება შეცვლის სიტუაციას. ისინი საკუთარ კუთხეებში დასაქმდებიან. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დღეს ანექსირებულია, შევა ინვესტიციები. გარდა ამისა, ჩვენ გვეკუთვნის კომპენსაცია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

საქართველო რუსეთისაგან დაზარალებული სახელმწიფოა. ეკონომიკის ფეხზე დადგომა შექმნის პენსიების ზრდის შესაძლებლობას. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ უკრაინისა და მოლდოვის სახით სერიოზული მოკავშირეები გვყავს. რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი უნდა შევქმნათ. სხვათა შორის, ჩემი დოკუმენტური ფილმების ციკლი, რომელსაც ახლა საქართველოში აჩვენებენ და რომელიც ოკუპაციასაც ეხება, უკრაინულ ტვ5-ზე გავიდა. ამ ციკლმა ნახვადობით რეკორდი მოხსნა. ერთ-ერთ ფილმში საუბარია ფინეთზე. სანამ იქ რუსეთი შეიჭრებოდა, ფინელები ერთმანეთს ხოცავდნენ, მაგრამ მერე საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ეს ჩვენც შეგვიძლია.

## ნინო ბურჯანაძე: „სულ ასეთ ცირკში ვიქნებით“

– ეს ცოტა არასერიოზული განცხადებაა, – ასე შეაფასა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ყოფილი თავდაცვის მინისტრის მინდია ჯანელიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ტრისტან წითელაშვილთან დაკავშირებით საქმე ეხებოდა რეჟიმის დარღვევას.

– მე ვერაფერს გეტყვით, თუ რა ფორმით მოხდა დარღვევა, რა ტიპის



დარღვევა მოხდა და ვინ ვის რა გადასცა, ან გადასცა თუ არა საერთოდ, იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვიცი, ასეთი ტიპის სკანდალების აგორების როგორი ოსტატები არიან ზოგიერთ ტელეკომპანიასა და პარტიაში. თავისთავად, ეს აჟიოტაჟი რომ მოიხსნას, ბუნებრივია, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს, თუმცა ამ ქვეყანაში არც გამოძიებები ტარდება, ან გამოძიების შემდეგ კითხვებზე პასუხები გაცემული არ არის და საერთოდ, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, ამ ქვეყანაში ნორმალურად არაფერი ხდება. ნორმალური ქვეყანა თუ გვინდა, მაშინ უნდა მივიღოთ ნორმალური გადაწყვეტილებები, თუ არადა, ვიქნებით სულ ასეთ ცირკში, რაშიც ვართ რეალურად. სულ ვიქნებით ამ გაუთავებელ მასკარადსა და ანეკდოტურ სიტუაციებში, რომელშიც ყოველდღე თუ არა, ყოველ მეორე დღეს არის აღმოჩენილი ხან მთავრობა და ხან მთელი ქვეყანა, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## მეთიუ ბრაიზა: „საქართველოს დამაჯერებელმა პასუხმა 2008 წელს რუსეთის ჯარებს სერიოზული ზიანი მიაყენა“

რამდენიმე დღის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოება სამწუხარო თარიღს აღნიშნავს – მერვე წელი სრულდება საქართველო-რუსეთის ომის დაწყებიდან, რომლის შედეგად ქვეყანას ორი რეგიონი – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ჩამოშორდა.

კონფლიქტის ისტორიულ გაკვეთილებზე „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტს ესაუბრება დიპლომატი და ანალიტიკოსი მეთიუ ბრაიზა, წარსულში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი, ამჟამად კი ვაშინგტონში არსებული ატლანტიკური საბჭოს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

როგორ მეთიუ ბრაიზა ამბობს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების სამწუხარო შედეგი ისაა, რომ „რუსეთს დღესაც შეუძლია დაუსჯელად განახორციელოს სამხედრო ავანტიურების პოლიტიკა და ამ დროს სამომავლოდ რაიმე შედეგებისა არ ეშინია“.

– მე ვფიქრობ, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი, ერთი მხრივ, აშშ-ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების რეაქციისა 2008 წლის მოვლენაზე და მეორე მხრივ, ვლადიმირ პუტინის უწყვეტ სამხედრო ავანტიურებს შორის, რაც უკრაინაში შეჭრით და ყირიმის წართმევაში გამოიხატა, – ამბობს ბრაიზა.

მეთიუ ბრაიზა ყურადღებას ამახვილებს პრობლემის კიდევ ერთ მხარეზე:

– საქართველოს ხელისუფლების სწრაფმა და დამაჯერებელმა პასუხმა რუსეთის ჯარებს სერიოზული ზიანი მიაყენა, რამაც ვლადიმირ პუტინს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სიღრმისეული სამხედრო რეფორმის გატარების ბიძგი მისცა“. ამასთან დაკავშირებით ყოფილი ამერიკელი დიპლომატი საუბრობს მოსკოვის მიერ გადადგმულ რიგ ნაბიჯებზე სამხედრო სფეროში: „რუსეთმა. თავისი ძალები განალაგა ბალტიისპირეთის ქვეყნების საზღვართან, რაც უპრეცედენტო ნაბიჯია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში“.

ეხება რა საქართველოს პერსპექტივას „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში, მეთიუ ბრაიზა ხაზს უსვამს:

– ფართო სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველო ევროპულ-ატლანტიკურ გზაზე დგას. ამის შესახებ არაერთხელ გაკეთებულა პოლიტიკური განცხადებები როგორც პარლამენტში რამდენიმე წლის წინათ, ასევე ბოლო ხანებშიც, რომ საქართველოს კანონიერი ადგილი დასავლეთსა და ტრანსატლანტიკურ თანამეგობრობაშია.

მეთიუ ბრაიზა შეეხო აგრეთვე საქართველოს და საერთოდ, სამხრეთ კავკასიის ადგილს აშშ-ის პოლიტიკაში, კერძოდ, როგორი იქნება ვაშინგტონის დამოკიდებულება რეგიონისადმი მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით. როგორც მან აღნიშნა, ამ კონტექსტით ამიერკავკასიის რეგიონი დღეს ამერიკისათვის მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, განსაკუთრებით იმ პერიოდთან შედარებით, როცა აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იყო.

აშშ-ში წინასაარჩევნო სიტუაციაზე საუბრისას მეთიუ ბრაიზამ გააკრიტიკა დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკური განცხადებები, რომლის თანახმად, რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი ეჭვქვეშ აყენებს აშშ-ის მიერ ნატოს წესდების (ხელშეკრულების) მეხუთე მუხლის შესრულებას, რომლის თანახმად, ალიანსის ყველა წევრი ვალდებულია, ერთმანეთის უსაფრთხოება დაიცვას. მეთიუ ბრაიზამ გაიხსენა დონალდ ტრამპის რუსეთის მხარდამჭერი განცხადებები და ისიც არ დაივიწყა, რომ რესპუბლიკელთა პრეზიდენტობის კანდიდატის ბიზნესში რუსეთს მნიშვნელოვანი თანხები აქვს ჩადებული.



მეთიუ ბრაიზამ მხარი დაუჭირა დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატ ჰილარი კლინტონს. იგი დარწმუნებულია, რომ თუ აშშ-ის პრეზიდენტად ჰილარი კლინტონი იქნება არჩეული, იგი რუსეთის მიმართ უფრო განსხვავებულ პოლიტიკას გაატარებს, ვიდრე ეს „გადატვირთვის“ პერიოდში ხდებოდა:

– მე ვფიქრობ, რომ იგი მოძებნის რუსეთის (ერთ ადგილზე) „მოჯენის“ მეთოდს და მოსკოვს აიძულებს, ადრინდელ სტილს დაუბრუნდეს. ჰილარი კლინტონი მხარს დაუჭერს ეკონომიკური სანქციების შენარჩუნებას, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს რუსეთის პოლიტიკაზეც საქართველოს მიმართ.

ყოფილმა დიპლომატმა აღნიშნა, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ამ კონტექსტში საქართველოს ხელისუფლების პოზიციას:

– დარწმუნებული ვარ, რომ თუ საქართველო ტრანსატლანტიკურ თანამეგობრობასთან უფრო ღრმა ინტეგრირებას მოახდენს, ქვეყანა უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ვაშინგტონის ყურადღება მიიპყროს რეფორმების გატარებით (როგორც ადრე ხდებოდა), გააგრძელოს ამერიკასთან თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში.

გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია კვლავ იყოს (აშშ-ის) კარგი პარტნიორი ავღანეთსა და ერაყში. ასეთი მოქმედებით საქართველოს შეუძლია რუსეთი აიძულოს, რომ ის უფრო ცივილიზებულად მოიქცეს. უსაფრთხოების საკითხებში სამომავლოდ დიდი ამოცანები გველოდება, ამ მხრივ საქართველოს რაღაცის შემოთავაზება შეუძლია – საქმე ეხება სირიასა თუ სხვა რეგიონებს.

**ნიუსპრესი**

# რუსეთის თავდაცვის მინისტრმა საქართველოში პარტია დააფუძნა

## მეგი გოცირიძე: ხელისუფლება სიტუაციის დაძაბვას რუსი ტურისტების დახმარებით აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არა აქვთ რესპუბლიკელებს ხმის ამოღების უფლება, რატომ ვერ აუკრძალავენ სააკაშვილს პოლიტიკაში ჩართვას, რომელ პარტიას აფინანსებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**



მეგი გოცირიძე:

– საქართველოში, სადაც ყოველდღე ვალერი კვარაცხელიას ულვაშების ცმაცუნია და ეს კაცი ხელისუფლებას ნამგლითა და უროთი თავის გახეთქვას ჰპირდება, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სააკაშვილზე ატეხა ერთი ამბავი. იმდენად უსირცხვილოები არიან, რომ დევნილ პრეზიდენტზე იძახიან, უცხო ქვეყნის მოქალაქეაო.

***– ტყუილს რას ამბობენ, მართლა უცხო ქვეყნის მოქალაქეა. არც უკრაინაა საქართველოს ნაწილი და არც პირიქით.***

– ეგ გასაგებია, მაგრამ ჯერ ის გაარკვიოს მაგ საიამ, რატომ არის მიხეილ სააკაშვილი უცხო ქვეყნის მოქალაქე. ის საქართველოდან გააძევეს და საქართველოს მოქალაქეობა წაართვეს. საიამ ამაზე იმსჯელოს. გვითხრან ისიც, სად იყვნენ მაშინ, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქე ივანიშვილი 2011-2012 წლებში საარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. აქ რომ დაბრუნდა, არც შევარდნაძე ყოფილა საქართველოს მოქალაქე. მითხრან მაშინ, სად იყვნენ ან ახლა რატომ დუმან, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქე პუტინი ჩვენს საშინაო საქმეებში ერევა.

ეს კაცი ჩვენს შიდა საქმეებში ძალიან უხეშად ერევა. მისი ჩარევა მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლება. ის ძალიან უხეშად აფათურებს აქ ხელებს, ხარჯავს დიდი რაოდენობით ფულს. ამ ყველაფერზე მე საიასგან არანაირი შეფასება არ მსმენია.

სამაგიეროდ, სააკაშვილზე აკეთებენ განცხადებებს და ამაში ანა დოლიძეც აიყოლიეს, რომელიც განდევნილი პრეზიდენტისაგან კატეგორიულად მოითხოვს, საქართველოს შიდა საქმეებში არ ჩაერიოო. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, რომ ამას ითხოვს ქალი, რომელიც ე.წ. პრეზიდენტმა ჯერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ წარადგინა, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა კი საკუთარ მოადგილედ გაამწესა.

***– ამის გამო არა აქვს მას სააკაშვილზე ხმის ამოღების უფლება?***

– ამის გამო არა. ანა დოლიძე ის ქალია, რომელიც 2008 წლის აგვისტოდან 2008 წლის ოქტომბრამდე სამართლებრივ კონსულტაციას უწევდა ჰოლანდიაში რეგისტრირებულ რუსულ ორგანიზაციას. ამ საქმეში მთავარი ის არის რომ ორგანიზაციამ აგვისტოს ომზე კვლევა დადო. თავისთავად რუსულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ცუდი არ არის, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეთ, რომ ამ ორგანიზაციამ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე ათეული სარჩელი შეიტანა. ისინი საქართველოს სახელმწიფოს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მოქალაქეების მკვლელობაში ადანაშაულებენ. ამ ორგანიზაციამ ჰააგის ტრიბუნალსაც მიმართა და ითხოვს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების სარჩელების გამოძიებას.

ანა დოლიძე ერთადერთი არაა რესპუბლიკური პარტიიდან, რომელიც რუსულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა. მათთან აქტიურად თანამშრომლობდა საიას იმჟამინდელი თავმჯდომარე და ამჟამინდელი დეპუტატი თამარ ხიდაშელი. საგანგაშოა, რომ საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ ემსახურება ჩვენი მტრის რუსეთის ინტერესებს და ეხმარება იმ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს უჩივის.

***– ამბობთ, ანა დოლიძე და თამარ ხიდაშელი რუსულ ორგანიზაციას ეხმარებოდნენო. ამის შესახებ აქამდე რატომ არ ატეხეთ ხმაური?***

– ვინ არ ატეხა ხმაური? სულ იმაზე ვსაუბრობთ, რომ რესპუბლიკელები რუსებთან თანამშრომლობენ.

***– რუსებთან თანამშრომლობენო, ამტკიცებთ და მაშინ რატომ ითვლება ეს პარტია პროდასავლურად?***

– ვინ თვლის მერე მაგათ პროდასავლურად? ჩემგან მსგავსი რამე ოდესმე გსმენიათ? პარტიაში პაატა ზაქარეიშვილი რომ გეყოლება, გაქანებული რუსეთუმე ხარ, აბა, რა ხარ. ძალიან მიხარია, რომ ამ არჩევნებზე რესპუბლიკური პარტია საბოლოოდ ჩაირეცხება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ საბოლოოდ ჩაირეცხება? წლებია, ამაზე მიდის საუბარი, მაგრამ ისინი ისევ კარგად გრძნობენ თავს.***

– აქამდე იმიტომ გრძნობდნენ თავს კარგად, რომ ივანიშვილს მიეტმასნნენ და მან შეიყვანა პარლამენტში. 2003 წელს მიშას მიეწებნენ. შუალედში დამოუკიდებლად იყარეს კენჭი და 3% ძლივს აიღეს. ახლა მაგასაც ვერ ეღირსებიან. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ეს პარტია დამთავრდება და მას თან ალასანია და მისი თავისუფალი დემოკრატებიც მიჰყვებიან, რაც ასევე სასიხარულოა ქართული პოლიტიკისთვის.

***– სასიხარულო რატომ არის?***

– ალასანიას ჩარეცხვა როგორ არ უნდა გამიხარდეს, როცა მან იარაღის სამალავები გახსნა? უკანონო სამალავები რომ ყოფილიყო, კიდევ რაღაცას იფიქრებდა კაცი, მაგრამ ეს სამალავები სახელმწიფოსთვის საჭირო იყო. ამ ყველაფერზე არსებობდა დოკუმენტაცია, რომელიც თავდაცვის სამინისტროში დახვდა, სადაც დეტალურად იყო მითითებული, რომელ სამალავში რა ტიპის და რა რაოდენობის იარაღი ინახებოდა.

***– მოდით, ისევ სააკაშვილის თემას დავუბრუნდეთ. საია მის დაჯარიმებას ითხოვს. თქვენი აზრით, დაჯარიმების შემდეგ სააკაშვილი აღარ ჩაერევა შიდა პოლიტიკურ პროცესებში?***

– მიშა ამათ როგორ უნდა გააჩერონ? ეს გამორიცხულია. რაც შეეხება ჯარიმას, ჯარიმის გადახდა „ქართულ ოცნებას“ მოუწევს.

***– რა ჯარიმის?***

– იმ ჯარიმის რომელსაც მათ 8 ოქტომბერს ქართველი ხალხი გამოუწერს. მართლა უნამუსობაა, მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც ქართული სახელმწიფო შექმნა, ჯარიმა დააკისრო მხოლოდ იმის გამო, რომ მან სკაიპით მიმართა თავის მომხრეებს. მიშა როგორ უნდა გაჩერდეს, როცა მის მიერ შექმნილი სახელმწიფო იქცევა.

კანონის დამცველებად გამომივიდნენ და იმაზე საერთოდ არ იღებენ ხმას, შოიგუმ პარტია რომ დააფუძნა საქართველოში. არ მითხრას ვინმემ, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი საქართველოს მოქალაქეა და მას აქვს უფლება, აქაურ პოლიტიკაში ჩაერიოს.

***– რომელი პარტია დააფუძნა შოიგუმ?***

– ცენტრისტები. ხაჩიშვილისა და ბედუკაძის პარტია რუსეთის თავდაცვის მინისტრის დაფუძნებულია. შოიგუ ღიად ამბობს, ჩემს პარტიას მიეცით ხმა და 500 ლარი გექნებათ პენსიაო.

***– შოიგუს რომ აქ თავისი ინტერესები ექნება, ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ, ისე გაუჭირდა, რომ ხაჩიშვილისა და ბედუკაძის მეტი ვერავინ მონახა?***

– მეტი ვინღა უნდა მოენახა? გაიხედეთ გარშემო, ეს პრორუსულები ყველა ფეხის ნაბიჯზე არიან – მარაოსავით გაიშალნენ. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რუსი ტურისტებით რომ გადატენილია ქვეყანა.

***– მოდით, ობიექტურები ვიყოთ და რუს ტურისტებს თქვენ გაუხსენით გზა. 2012 წლის თებერვალში სააკაშვილმა რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა.***

– ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილება იყო და რუსი ტურისტების მიმართაც არანაირი პრეტენზია არა მაქვს.

***– აბა, რატომ ჩივით, აქაურობა რუსი ტურისტებით გაივსოო?***

– იმიტომ, რომ ეგენი ე,წ. ტურისტები არიან. ლალი მოროშკინამ ღიად თქვა, აჭარაში ყველა სასტუმრო წინასწარ არის დაჯავშნილი და რუსი ტურისტები არჩევნებამდე იქნებიან აქო.

***– 8 ოქტომბრამდე ზღვაში ბანაობა სავსებით შესაძლებელია.***

– სულ ზღვაში საბანაოდ არიან ეგენი აქ. სხვა მიზნები და სხვა გეგმებია. უკრაინაში იყვნენ ეგრე რუსი ტურისტები, მერე მწვანე კაცუნებად რომ გადაიქცნენ.

***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– იმის, რომ მათი დახმარებით შეეცდებიან სიტუაციის არევას. აქ კი არიან პრორუსულად განწყობილები, მაგრამ მათგან 500 კაცი თუ გაბედავს პროდასავლურ ძალებთან ღიად დაპირისპირებას. ეს ე.წ. ტურისტები კი ყველაფერზე წავლენ.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ პუტინი ივანიშვილს აღარ ენდობა და შეეცდება, აქ უშუალოდ თავის ხალხს გააკეთებინოს საქმე.

***– რატომ აღარ ენდობა პუტინი ივანიშვილს?***

– იმიტომ, რომ დავალება ვერ შეუსრულა.

***– რა დავალება?***

– ის აქ იმიტომ მოავლინეს, რომ სააკაშვილი დაეჭირა და საქართველო ევრაზიულ კავშირში შეეყვანა. ვერცერთი დავალება ვერ შეასრულა. სამწუხაროდ, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის შეძლეს ძირის გამოთხრა, მაგრამ მიშამ ეს ყველაფერი ისე მაგრად გააკეთა, რომ 4 წელია ებრძვიან და ვერ ჩამოშალეს. სამაგიეროდ, თვითონ ჩამოიშალნენ.

***– რა გაძლევთ იმის თქმის საბაბს, რომ „ქართული ოცნება“ ჩამოიშალა?***

– ჩამოშლილები არიან, აბა, რა არიან? ყველა სახელმწიფო სტრუქტურიდან ჩვენთან მოდის ინფორმაციები. ამ უბედურებს შიდა სამზარეულო არა აქვთ. ისიც კი ვიცით, რას გაიფიქრებენ.

ქვეყანაში შექმნილ ვითარებას რომ შეხედავ, ვერ გაიგებ, ვინ არის ხელისუფლება და ვინ – ოპოზიცია. „ქართული ოცნება“ დღემდე ჩვენს ოპოზიციად რჩება და ჩვენი შედგენილი დღის წესრიგით მოქმედებენ. ჩამოშლილები არიან, აბა, რა არიან, თან იმდენად ჩამოშლილები არიან, რომ სხვებს სთხოვენ დახმარებას.

***– რა დახმარებას?***

– რამდენიმე დღის წინ მათი დავალებით ნაცმოძრაობის ოფისებთან სააკაშვილის ფიტულები დაწვეს. აქამდე სალებავებს გვესროდნენ, ახლა ფიტულების დაწვა დაიწყეს. მას შემდეგ, რაც სადღობელაშვილი გავშიფრეთ, კორკოტა და „ჩვენი სამშობლო“ გამონახეს.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ხელისუფლების დავალებით დაწვეს სააკაშვილის ფიტულები?***

– აბა, ვისი დავალებით უნდა დაეწვათ? ეს დუქნის ლომი კორკოტა ბათუმში სიტუაციის დაძაბვასაც კი შეეცადა, მაგრამ მერე მიიმალა. ასეთი მეთოდებით ჩვენ ვერც შეგვაშინებენ და ვერც გაგვაჩერებენ. ჩვენ არ ვართ ის ხალხი, წითელაშვილმა და ან დოლიძემ რომ გაგვაჩერონ. რაც მთავარია, მოსახლეობა დგას ჩვენ გვერდით და ამას ყველა დაინახავთ ოქტომბერში. პუტინის მონებს საქართველოდან 9 ოქტომბერს გავისტუმრებთ და თან ნამგალსა და უროს გავაყოლებთ.

არავის შეშინება არ მინდა, მაგრამ საქართველო ახლა დანის პირზე გადის. ყველაფერს გააკეთებენ სამოქალაქო დაპირისპირების მოსაწყობად. ჩვენ მაქსიმალურად ვიკავებთ თავს და ოფისებში მოვარდნის ფაქტი ამიტომ დავტოვეთ რეაგირების გარეშე. მათი მიზანიც ეგაა, რომ დაპირისპირებაში ჩაგვითრიონ.

# მინდია ჯანელიძე: „წითელაშვილთან დაკავშირებით საქმე ეხებოდა არა დანაშაულს, არამედ გადაცდომას“



– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წითელაშვილთან დაკავშირებით საქმე ეხებოდა არა დანაშაულს, არამედ გადაცდომას, რაზეც შესაბამისმა პირმა პასუხი აგო. ტრისტან წითელაშვილი არცერთ საიდუმლო ბაზაზე არ ყოფილა, – განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ თავდაცვის სამინისტროდან საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების საკითხზე კომენტირებისას.

ჯანელიძის თქმით, მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები აბსურდულია.

– ეს ჰგავს უფრო პოლიტიკურ სპეკულაციას, ვიდრე საქმეზე ლაპარაკს, ამიტომ ამ თემაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება რთულია, თუმცა სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წითელაშვილი არ ყოფილა არც ერთ საიდუმლო ბაზაზე. რაც შეეხება ჩემ მიმართ მეორე ბრალდებას, რომ თითქოს ვინმე დაუსჯელი დარჩა, ეს ასე არ იყო. ჩემი მინისტრობის პერიოდში ვინც რაიმე დანაშაული ჩაიდინა, შესაბამისად არის დასჯილი. საქმე ეხებოდა არა დანაშაულს, არამედ გადაცდომას და ამ გადაცდომაზე აგო პასუხი იმ პირმა, ვინც ის ჩაიდინა, – განაცხადა ჯანელიძემ.

მისივე განმარტებით, საქმე ეხება სარეჟიმო წესის დარღვევას.

– პროკურატურას საქმე გადაეცემა მაშინ, როცა საქმე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა მხოლოდ სარეჟიმო წესის დარღვევას, რაზეც, შესაბამისად, გენინსპექციამ მოახდინა რეაგირება, – აღნიშნა ჯანელიძემ.

როგორც გაერთიანებული შტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა, გენერალმა გიგი კალანდაძემ რუსთავი 2-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მინდია ჯანელიძის თავდაცვის მინისტრობის დროს გენინსპექციის თანამშრომელმა გოდერძი ორმოცაძემ პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი საცეცხლე წერტილებზე შეიყვანა. ამ უკანასკნელმა საიდუმლო სამხედრო ბაზაზე შესვლა სამსახურებრივი საშვით შეძლო, სადაც საიდუმლო ობიექტები ფირზე გადაიღო.

გიგი კალანდაძის მტკიცებით, აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე აშენებული საიდუმლო სამხედრო ობიექტების კოორდინატები და მთელი ინფორმაცია სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა.

ინტერპრესნიუსი

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამოყენება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

სოსო ზაალიშვილი

# ერდოღანი ობამას ბრალდებებს უყენებს

## სტამბოლის ბაზარი რუსულად



**უკრაინაში რამდენიმე წლის წინ ხელისუფლების ცვლილებამ რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება გამოიწვია. იმ დროისათვის ევროპისა და აშშ-ის ლიდერები მიიჩნევდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ამ ნაწილში დაწყებულ კრიზისს რუსეთის გააქტიურება მოჰყვებოდა.**

მათი აზრით, რუსეთის გააქტიურება თავად უკრაინის ტერიტორიაზე, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ბალტიისპირეთისაკენ დაიწყებოდა. მოგეხსენებათ, უკრაინაში მართლაც დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება და ნოვოროსიის პროექტი, რომელშიც დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა იყო ჩაბმული და შედეგად ყირიმის ოკუპაცია მოჰყვა.

თუმცა ბოლო პერიოდში უკრაინის პრობლემასთან მიმართებით დასავლეთის ყურადღება აშკარად იკლებს. ამას ევროპის ქვეყნების პარლამენტის წევრების ყირიმში ხშირი ვიზიტებიც ადასტურებს.

ანალოგიური პროცესის ბალტიისპირეთში დაწყების შიშით ამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ახლა უკვე ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა საკუთარი პარტნიორებისაგან თავდაცვის გარანტიები მოითხოვა, რის შედეგადაც ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სახმელეთო და საჰაერო კონტინგენტის რაოდენობა გაზარდა ბალტიისპირეთში.

მაგრამ სიტუაცია სულ სხვაგვარად განვითარდა. სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაციის დაწყებისას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ერთი წლის შემდეგ დასავლეთი თურქეთის სახით რეალურ სამხედრო მოკავშირეს დაკარგავდა.

ერდოღანის ანტიამერიკული რიტორიკა უბრალოდ ვაჭრობას აღარ ჰგავს. ის აშკარა ბრალდებებს უყენებს ბარაკ ობამას ადმინისტრაციას და კი არ სთხოვს, მოითხოვს პუტჩის ორგანიზებისა და მხარდაჭერის აღიარებას.

თურქეთის პრეზიდენტმა ყოფილ მოკავშირეებს ისეთი მოთხოვნით მიმართა, რომლის პასუხიც წინასწარ იცოდა.

მან გადატრიალების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ფეითჰულა გიულენის თურქეთისათვის გადაცემა მოითხოვა. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები მას თურქ მილიარდერს გადასცემდნენ, არა მგონია, ერდოღანის მომხრე თურქ სამართალდამცავებს გასჭირვებოდათ მისგან აღიარებითი ჩვენების მიღება.

უკვე მთელმა მსოფლიომ შემოჰკრა ზარები თურქეთში ადამიანის უფლებათა საშინელი დარღვევების გამო და, ალბათ, გიულენსაც არ დაინდობდა თურქეთის პრეზიდენტის მომხრე ეგზალტირებული ბრბო.

როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნას ფეითჰულა გიულენის გადმოცემის შესახებ ამერიკელებმა უარით უპასუხეს.

ევროკავშირის ლიდერებიც აგრძელებენ ამ ქვეყნის ხელისუფლებაზე ზეწოლას. მიუხედავად ამისა, ერდოღანი სამხედრო გადატრიალებაში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ უმკაცრეს პოზიციას ინარჩუნებს და არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

ამავდროულად, აშშ-ში წინასაარჩევნოდ ობამას ადმინისტრაცია ახალ სკანდალში გაეხვია. სკანდალის მიზეზი 400 მილიონი დოლარია, რომელიც ამერიკამ ირანის ხელისუფლებას გადასცა. თანხა თეირანში თვითმფრინავებით ჩაიტანეს.

ევროებით, შვეიცარიული ფრანკებითა და სხვა ვალუტის კუპიურებით სავსე ხის ყუთების გადატვირთვა ირანის მიერ ბირთვულ შეთანხმების ხელმოწერას დაემთხვა. ისლამური რესპუბლიკის ძალისმიერებმა ოთხი დაკავებული ამერიკის მოქალაქე გაათავისუფლეს.

ამერიკულმა მედიამ თანხის გადაცემას მძევლებში სასყიდელის გადახდა უწოდა, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა თანხის გადაცემის ფაქტი სხვაგვარად ახსნეს. მათი ინფორმაციით, 400 მილიონი ნაღდი ფული, რომელიც ირანის ხელისუფლებას გადაეცა, ამერიკის ვალია ირანის მიმართ.

ვალი ჯერ კიდევ შაჰის მმართველობის პერიოდში დაგროვდა, როდესაც ირანის უკანასკნელმა მმართველმა მოჰამედ რეზა ფეხლევიმ იარაღის შესყიდვისათვის ამერიკელებს თანხა გადასცა. ხელშეკრულება არ შესრულდა, რადგან ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა და თითქოს ამერიკელებმა ეს თანხა დაუბრუნეს ირანის დღევანდელ ხელისუფლებას. შესაძლოა, ეს მონათხრობი ვინმეს დაეჯერებინა, რომ არა ირანელი მომლაპარაკებლის ნათქვამი, რომ დაკავებული ამერიკელების გათავისუფლების სანაცვლოდ ირანს რაიმე სახის მატერიალური სარგებლის მიღება სურდა.

როდესაც მსოფლიოს ჰეგემონი ქვეყანა თავის პოტენციურ, უფრო სუსტ მოწინააღმდეგეს ფულს უხდის, რა თქმა უნდა, ეს სხვა ქვეყნებსაც უხსნის მადას. რითაა თურქეთი ირანზე ნაკლები და რატომ არ უნდა მიიღოს ერდოღანმა ფული?

რატომ არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნებიც? ან რატომ დაადო ეკონომიკური სანქციები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს, როდესაც ირანში არსებულ ბევრად უფრო საშიშ რეჟიმს ასეთი სანქციები მოუხსნა?

ეს კითხვები და ორმაგი სტანდარტები საგარეო პოლიტიკაში ამერიკის არასანდო პარტნიორობას ადასტურებს. ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და დღევანდელ თურქეთს შორის მმართველობა მხოლოდ ფორმალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ირანში აიათოლა და ისლამური რევოლუციის გვარდია, თურქეთში პრეზიდენტი ერდოღანი და მისი ძალისმიერი სტრუქტურა ღიად ქადაგებს ანტიამერიკანიზმსა და ცივილიზებული ადამიანებისათვის მიუღებელ ძალადობას.

ორივე ქვეყანა რეგიონში ჰეგემონიისათვის იბრძვის. ახლა უკვე ორივე რუსეთის ხელისუფლებისადმი ლოიალურია. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის ეკონომიკურ სანქციებს, თუ თურქეთი კვლავ ნატოს წევრად რჩება, ხოლო ირანს ამერიკელები უზარმაზარ თანხებს აძლევენ ნაღდი ფულისა თუ სხვადასხვა ინვესტიციის სახით.

ობამას ადმინისტრაციის დამყოლ პოზიციას მოძალადე ისლამის მიმართ შედეგად ამბიციებით შეპყრობილი მუსლიმი ლიდერების გაყოყოჩება მოსდევს. აგვისტოს შუა რიცხვებში სახელმწიფო მდივან ჯონ კერისა და პრეზიდენტ ერდოღანის შეხვედრაა დანიშნული. შეხვედრის ოფიციალური მიზეზი თურქეთისათვის გიულენის გადაცემის მოთხოვნის განხილვაა. ერდოღანის რუსეთში ვიზიტის შემდეგ დანიშნვა ადასტურებს, რომ თურქეთსა და აშშ-ს შორის დაუძლეველმა პრობლემებმა იჩინა თავი. თურქეთის დესტაბილიზაციის ზონად ქცევა უფრო მეტ საფრთხეს ევროპის, საქართველოსა და რუსეთისათვის წარმოადგენს, ვიდრე ამერიკისათვის. ამერიკელებმა ეს ბრწყინვალედ იციან და ამით სარგებლობენ და აიძულებენ ევროპას, მათ პოზიციასთან უფრო მეტად სინქრონიზებული პოზიცია შეინარჩუნონ ყველა საკითხში.

თუ შტატებმა მიატოვეს ევროპის ქვეყნები თურქეთის დასავლეთისა და ნატოსკენ მობრუნების გზაზე, შესაძლოა ამ მიმართულებით ირანის ანალოგიური სიტუაცია მივიღოთ. როდესაც ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ირანთან მოლაპარაკებების პროცესი წამოიწყო, ირანში ევროპელი ლიდერებისა და კომპანიების ხელმძღვანელობის ვიზიტები გახშირდა.

ირანი, ისევე, როგორც თურქეთი, ამერიკისათვის ნაკლები საფრთხის შემცველია, ვიდრე ევროპისა და რეგიონის სხვა ქვეყნებისათვის. ევროპელებმა თავად დაიწყეს ირანთან ურთიერთობების მოგვარება.

თუ ევროპის ლიდერები კვლავ იგრძნობენ ამერიკისაგან თურქეთის პრობლემებიდან ჩამოშორებას, ისინი ამ შემთხვევაშიც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე გადადგამენ ნაბიჯებს.

თურქეთის, ისევე, როგორც ირანის პრობლემის მოგვარებისათვის კი, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, რუსეთის ჩართულობა ხდება საჭირო. რუსეთს თავისი პრეტენზიები გააჩნია ევროპასთან და მთავარი უკრაინა და ნატოს აღმოსავლეთისაკენ გაფართოებაა.

ამ პრობლემის მოგვარების საფასურად რუსებმა შესაძლოა ერდოღანთან გამართონ კიდეც მოლაპარაკებები. ეს მოლაპარაკებები საკმაოდ მძიმე იქნება, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

ჩვენთვის საინტერესოა, რას მიიღებს რუსეთი ერდოღანის დაშოშმინების საფასურად, ხომ არ დარჩება საქართველო და უკრაინა, ისევე, როგორც 90-იან წლებში ევრაზიული ინტერესების სფეროში. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს ჯორჯ ბუში უფროსის გამოსვლა კიევში, როდესაც მან სსრკის დაშლის საწინააღმდეგო პოზიცია გამოთქვა მასობრივი განადგურების იარაღზე კონტროლის შენარჩუნების მიზეზით.

## შსს-მ თელავში მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირს ბრალი წარუდგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული თემურ ფ. ცემის ფაქტზე გამოავლინეს.




გამოძიებამ დაადგინა, რომ თემურ ფ.-მ მიმდინარე წლის 4 აგვისტოს თელავში, ჭავჭავაძის მოედანზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1982 წელს დაბადებულ რომან ქ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. დაზარალებულს შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარდა.

თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა თემურ ფ.-ს ბრალი ცემის ფაქტზე წარუდგინეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

## გიორგი კანდელაკი: „ჯანელიძის განცხადება, ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენებაა“

ტრისტან წითელაშვილის საქმესთან დაკავშირებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი კანდელაკი კომენტარს აკეთებს. საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი თავდაცვის ყოფილი მინისტრის მინდია ჯანელიძის განცხადებას აფასებს და მას „აღიარებით ჩვენებას“ უწოდებს:

— ჯანელიძის 5 აგვისტოს განცხადება, ფაქტობრივად, არის აღიარებითი ჩვენება, რომ ნამდვილად რუსეთის ინტერესების გამტარებელი ადამიანი შეუშვეს სრულიად საიდუმლო სტატუსის მქონე საქართველოს სამხედრო ობიექტზე, — განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

**ნიუპოსტი**





## ეკონომიკის სამინისტროსთან აქციაზე ბექან გუნავა დააკავეს

გაერთიანებული ოპოზიციის სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბექან გუნავა სამართალდამცველებმა დააკავეს. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც გუნავა სამგორის მოსახლეობის ნაწილთან ერთად ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქციას მართავდა.

შს სამინისტროს განცხადებით, ბექან გუნავა სამართალდამცველებმა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს, რაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

# პოლიომიელიტისგან დაცვა მხოლოდ აცრითაა შესაძლებელი



ყველას, ან უმრავლესობას გაგიგიათ, რომ ჩვილი ბავშვი 2 თვის ასაკიდან იცრება პოლიომიელიტის და დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსის ვაქცინით. ბუნებრივია, გებადებათ სურვილი, გქონდეთ ინფორმაცია ამ დაავადებების შესახებ. ამჯერად პოლიომიელიტს გავეცნობით.

პოლიომიელიტი მწვავე ვირუსული ხასიათის დაავადებაა. იგი მიმდინარეობს ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების ანთებით, რაც გამოიხატება კიდურებისა და სხეულის კუნთების დუნე დამბლებში. ამიტომ, ამ დაავადებას ბავშვთა მწვავე სპინალური დამბლის სახითაც მოიხსენიებენ.

პოლიომიელიტის გამომწვევია ფილტრში გამავალი ვირუსი. დღეისთვის ცნობილია ვირუსის 3 იმუნოლოგიური სახეობა. ყველაზე ხშირია I ტიპის ვირუსი, რომელსაც ბუნებაში დიდი გამძლეობა აქვს. ასე მაგალითად, წყალსა და რძეში ძლებს 100 დღის განმავლობაში, ფეკალურ მასებში კი – 6 თვეს. დუღილის ტემპერატურაზე ვირუსი სწრაფად იღუპება. პოლიომიელიტის ვირუსი გარემოში ხვდება დაავადებულებისა და ვირუსმატარებლების განავალიდან.

ინფექციის რეზერვუარი და წყაროა დაავადებული ავადმყოფი ან ვირუსმატარებელი. უფრო ხშირად ინფექციის გადამცემ-გამავრცელებლები მსუბუქი ფორმით დაავადებულები არიან, რადგან ისინი კლინიკურად გამოუცნობი რჩებიან. ინფექციის გადაცემა ძირითადად ალიმენტური (კვებითი) გზით ხდება – ინფიცირებული პროდუქტებით, ავადმყოფის ნივთებით, დაუბანელი ხელებით, პირადი სანიტარული რეჟიმის დარღვევისას. პოლიომიელიტისთვის დამახასიათებელია ზაფხულ-შემოდგომის სეზონურობა, რადგან ამ პერიოდში ზოგად-სანიტარულ ჰიგიენურ ფაქტორებთან ერთად გარკვეულ როლს ბუზებიც ასრულებენ. ინფექციის შეჭრის კარად პირის ღრუსა და კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსები ითვლება. კუჭში მოხვედრილი ვირუსი გადადის სისხლში. აქედან კი ზურგისა და თავის ტვინის ქსოვილებში და აქ კონცენტრირდება.

ვინაიდან პოლიომიელიტის ვირუსი ადაპტირებას იჩენს ადამიანის ორგანიზმისადმი, დაავადების გავრცელებაში ძირითად როლს დაავადებული ადამიანი ან ვირუსმატარებელი ასრულებს. ამითვე აიხსნება პოლიომიელიტით ინფიცირება ორალური გზით და გამოყოფა ფეკალური მასებით. ტვინის ქსოვილში ვირუსი იწვევს ანთებით პროცესებს, რომელიც შეიძლება იყოს შექცევითი (ანთება ჩაქრეს) ან შეიძლება განვითარდეს ტვინის უჯრედოვანი ელემენტების სრული დეგენერაციით და ნეკროზით (კვდომით). დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფიზიკურ და იმუნორეაქტიულ მდგომარეობას. პოლიომიელიტის ინკუბაციური პერიოდია 7-14 დღე. ეპიდემიის ტალღებთან დაკავშირებით, შესაძლოა ინკუბაციის პერიოდი შემცირდეს 3 დღემდე, ხოლო იშვიათ შემთხვევაში გაგრძელდეს 35 დღემდე.

კლინიკაში ვარჩევთ დაავადების ორ ძირითად სახეობას, პარალიზურსა და არაპარალიზურს. ავადმყოფობის პროცესს განვიხილავთ ოთხ პერიოდად ან სტადიად.

1. პრეპარალიზური, ანუ დაწყებითი ფორმა – იწყება ტემპერატურით, თავის ტკივილით, სურდოთი და ფხაჭნის შეგრძნებით ყელში, ერთჯერადი ღებინებით, მცირედ გამოხატული მენინგიალური მოვლენებით, ხანდახან გონების დაბნელებითა და კრუნჩხვებით. ძლიერ დამახასიათებელია ამ დროს ჰიპერესთეზია, როდესაც ყოველგვარი შეხება, საბანიც კი, გამაღიზიანებელი და მტკივნეულია. ავადმყოფს კიდურების ტკივილი განსაკუთრებით მოძრაობისას უძლიერდება. ტემპერატურა მერყეობს 38,5-39,5 გრადუსს შორის და, როგორც წესი, კრიტიკულად ეცემა. იშვიათად, 4-5 დღის შემდეგ, შეიძლება განვითარდეს ტემპერატურის მეორე ტალღა. ავადმყოფს აქვს ძლიერი ოფლიანობა, დროდადრო კრუნჩხვითი ბიძგები, ცალკეული კუნთების, კიდურების კანკალი, მოთენთილობა. მყესთა რეფლექსები ქვეითდება, ზურგის ტვინის პუნქციისას სითხე გამოდის ჩვეულებრივი წნევით. ზურგის ტვინის სითხეში მომატებულია ცილა, შაქარი, ლიმფოციტების რაოდენობა. პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების რაოდენობა მცირდება.

2. პრეპარალიზური სტადია 4-5 დღეს გრძელდება და იწყება დამბლები. პარეზები და დამბლები უცბად ვლინდება ჩვეულებრივ ქვედა კიდურებში, რასაც შეიძლება დაერთოს ზედა კიდურებისა და სხეულის სხვა კუნთოვანი აპარატის პარეზები. პოლიომიელიტის დამბლა რბილი დამბლაა, ახასიათებს ტონუსის შემცირება, მყესთა რეფლექსური დაქვეითება, კუნთების თანდათანობითი განლევა-ატროფია. შესაძლოა, დამბლებს წინ უძღოდეს მენინგიალური მოვლენები, როგორიცაა კეფის კუნთების რიგიდობა. მგრძნობელობის მოშლა ამ დროს არ ხდება. დამბლების სიმრავლე უფრო პირველ დღეებშია გამოხატული

პოლიომიელიტის სიმძიმე დაკავშირებულია ეპიდემიური ტალღის ხასიათთან და ავადმყოფის ასაკთან. 15 წლამდე ბავშვების 80%-ში ის კეთილად მთავრდება. ბულბალური ფორმა იძლევა ლეტალობის (სიკვდილიანობის) 25%-ს. სპინალური ფორმა კი – 1-2%-ს. სამაგიეროდ, ხშირია აღუდგენელი რბილი დამბლები ატროფიითა და ინვალიდობით.

პოლიომიელიტით სიკვდილის მიზეზია თავისა და ზურგის ტვინის სასიცოცხლო ცენტრების დაზიანება, ხოლო თვით სიკვდილის მექანიზმი ასფიქსიაა.

დიაგნოსტიკისას გამოიყენება როგორც ეპიდემიოლოგიური, ასევე კლინიკური და ლაბორატორიული ტესტები. დიდი მნიშვნელობა აქვს ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევას (მომატებულია ლიმფოციტები, შაქარი, ცილა). როცა ზაფხულის თვეებში დაავადება იწყება კატარალური მოვლენებით, თავის, წელისა და კიდურების ტკივილით, ტემპერატურის მომატებით, სხეულის ჰიპერისთეზიით, ძლიერი ოფლიანობით, ძილიანობით, კისრის კუნთების რიგიდულობით, სასწრაფოდ დაუკავშირდით თქვენი უბნის ექიმს.

პოლიომიელიტი უნდა განვასხვავოთ მენინგიტებისგან (ცერებროსპინალური, ტუბერკულოზური, პაროტიტული), დიფტერიული დამბლებისა და ვირუსული ენცეფალიტისგან.

ეპიდემიური ცერებრო-სპინალური მენინგიტის დროს დაავადება მძაფრად გადაიშლება და მენინგიალური სინდრომი წამყვანია, პარეზები და დამბლები აქ იშვიათია. თუმცა, საბოლოოდ საკითხს წყვეტს პუნქცია (ზურგის ტვინიდან სითხის აღება), რითაც დასტურდება ჩირქოვანი მენინგოკოკური პროცესი.

ტუბერკულოზური მენინგიტის პროგრესირებისას, ტემპერატურა თანდათანობით მატულობს, ვითარდება თავის ტკივილი, ბრადიკარდია, თვალის მამოძრავებელი კუნთების დამბლები. ზურგის ტვინის სითხეში ე.წ. კოხის ჩხირებია. ყბაყურის, ანუ ეპიდემიური პაროტიტის დროს, მენინგიალური სინდრომი პირველ რიგში შეიძლება განვსაზღვროთ ეპიდემიოლოგიურად. გარდა ამისა, მას ახასიათებს ყბაყურა ჯირკვლის შესიება.

ყველაზე ძნელია ვირუსული ხასიათის მენინგოენცეფალიტების ხასიათის დაზუსტება. აქ საკითხს წყვეტს დინამიკა. კერძოდ, მეორე კვირიდან აღნიშნული საკითხები ქრება დამბლების გარეშე.

პოლიომიელიტის მკურნალობა კომპლექსურია. აუცილებელია წოლითი რეჟიმი სტაციონარის პირობებში. პირველ დღეებში ბავშვს უნდა გადაესხას მშობლების ციტრატული სისხლი, ან გამაგლობულინი ტემპერატურის დაცემამდე. შემდეგ – სიმპტომური საშუალებები; კარგია ი ჯგუფის ვიტამინებთან ერთად. დამბლითი პერიოდის ჩამოყალიბებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ ფიზიოთერაპიას, ულტრამაღალი სიხშირის დენით დასხივებას, პარაფინის აპლიკაციებს, ტალახის აბაზანებს, მასაჟს და სხვ. ავადმყოფი აგვყავს გაძლიერებულ შერეულ კვებაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. პოლიომიელიტის ყოველი შემთხვევა მოითხოვს, ავადმყოფის იზოლაციასთან ერთად, ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომი ორგანოების ინფორმირებას. ავადმყოფი სტაციონარში უნდა იმყოფებოდეს 35-45 დღის განმავლობაში. მსუბუქი, ამბულატორიული, წაშლილი ფორმების დროს – 3 კვირა. სტაციონარიდან გაწერილი ბავშვები ბავშვთა კოლექტივში დაიშვებიან სამი კვირის შემდეგ. ავადმყოფთან კონტაქტში მყოფი პირები 20 დღის მანძილზე უნდა იმყოფებოდნენ შინაურ კარანტინში. ბავშვებს უკეთდებათ გამაგლობულინი. თუ ბაღში ან სკოლაში პოლიომიელიტის 2-3 შემთხვევა ერთდროულად დაფიქსირდა, დაწესებულება აუცილებლად უნდა დაიხუროს მინიმუმ 20 დღით.

პოლიომიელიტის პროფილაქტიკის საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმუნიზაციას. აცრები ტარდება გეგმიანად, სათანადო ინსტრუქციის მიხედვით. კერძოდ, პირველი ვაქცინაცია ხდება 2 თვის ასაკიდან სამჯერ ერთი თვის ინტერვალით. ანუ 2, 3 და 4 თვის ასაკში. ამის შემდგომ პირველი რევაქცინაცია (გადაცრა) ხდება 18 თვის ასაკში. ხოლო მეორე – 5 წლის ასაკში. აცრის შედეგად ორგანიზმში მუშავდება მყარი და სამუდამო იმუნიტეტი.

ასე, რომ ძვირფასო მშობლებო, დაიცავით თქვენი პატარა პოლიომიელიტისგან და დროულად მიიყვანეთ იგი უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში ასაცრელად.



## აპენდიციტს ბევრი ხორცი იწვევს

მწვავე აპენდიციტი ყველაზე გავრცელებული ქირურგიული დაავადებაა. იგი ძირითადად გადაუდებელი ოპერაციის მიზეზი ხდება. მწვავე აპენდიციტის განვითარების მიზეზი სხვადასხვაგვარია. მის პათოგენეზში მნიშვნელობას ანიჭებენ ხორციანი კერძების გადაჭარბებულ ჭამას, ამის მაგალითად მეცნიერებს მეორე მსოფლიო ომის დრო, კერძოდ, ლენინგრადის ბლოკადა მოჰყავთ – ამ დროს ქალაქში მნიშვნელოვნად შემცირდა მწვავე აპენდიციტის შემთხვევები. არანაკლებ ხელშემწყობია ქრონიკული შეკრულობა, რაც ჭიანაწლავის გადავსებას იწვევს.

მწვავე შეტევის დროს ხშირად ჭიანაწლავის დანამატებში არავითარი მორფოლოგიური ცვლილებები არ მიმდინარეობს.

მწვავე აპენდიციტის კლინიკა: შეტევითი ტკივილი იწყება მუცლის ქვედა მარჯვენა ნახე-



ვარში, კერძოდ, ჭიანაწლავი სადაც მდებარეობს, იმ ადგილში. ზოგჯერ ტკივილი კუჭის არეში გადაეცემა. ტკივილი შეიძლება შარდის ბუშტის მიდამოებშიც დაფიქსირდეს. ამ დროს შარდვა გახშირებულია. მწვავე აპენდიციტს თან ახლავს ღებინება, მუცლის პრესის დაჭიმულობა. დასაწყისში იგი ადგილობრივი ხასიათისაა, შემდეგ გადაეცემა მთლიან მუცლის ღრუს.

მწვავე აპენდიციტს აღენიშნება სხვადასხვა კლინიკური სიმპტომები, რაც დიაგნოზის ზუსტ დადგენას აიოლებს.

1. ტკივილი ძლიერდება ავადმყოფის მარცხენა გვერდზე გადაბრუნებისას, რაც ანთებითი ორგანოს გადაადგილებით, დაჭიმვით არის გამოწვეული.

2. თეძოს ნაწილის არეში თითის დაჭერით ავადმყოფი ტკივილს გრძნობს ჭიანაწლავის ანთების ზონაში.

3. ექიმი თუ თითს დააჭერს მუცლის მარჯვენა ქვედა არეს, ავადმყოფი კი მარჯვენა კიდურს მოუხრელად ზემოთ ასწევს, ამ დროს ზემოთ იწევა ჭიანაწლავიც, რომელიც იჭედება კუნთსა და ხელის დაჭერის ადგილს შორის და ტკივილი ძლიერდება.

4. როდესაც ექიმი ხელისგულს გაატარებს მუცლის წინა კედელზე მარჯვენა ნეკთარკალიდან მარჯვენა თეძოს ძვლამდე, ტკივილი ძლიერდება.

მოზრდილი ადამიანი ზუსტად აფიქსირებს იმ ადგილს, საიდანაც იწყება შეტევა.

მწვავე აპენდიციტს ახასიათებს ძლიერი ტკივილი, ღებინება, მუცლის პრესის დაჭიმულობა, სისხლში ლეიკოციტების მომატება, ტემპერატურის აწევა. მწვავე აპენდიციტის დროს ოპერაციული ჩარევა გარდაუვალია. გახსოვდეთ, მუცლის ტკივილის დროს, თუ დარწმუნებული არ ხართ, რა გაწუხებთ, ცხელი აბაზანისა და ცხელი სათბურის გამოყენება დაუშვებელია.

## ხილის წვენები და ტკბილი სასმელები აბების სამკურნალო ეფექტს ასუსტებს



ხილის წვენები ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მოქმედებას ანელებს, აცხადებენ შვედი მკვლევარები. ქალაქ ლუნდის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის პროფესორი ლარს ედვინსონი პაციენტებს ურჩევს, აბებს მხოლოდ წყალი მიაყოლონ, რადგან ხილის წვენები ან ტკბილი სასმელები სამკურნალო ეფექტს მნიშვნელოვნად ასუსტებს.

გამოკვლევის იდეა პროფესორს იმავე ჰოსპიტალში მომუშავე მედდამ მიაწოდა, რომელმაც ერთ-ერთი პაციენტის ნარწყევში გადაუმუშავებელი აბები შენიშნა. მედდის თქმით, პაციენტმა აბებს სწორედ ხილის წვენი მიაყოლა.ლარს ედვინსონი დაინტერესდა მედდის ნაამბობით და ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყო. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ წვენში მოთავსებული აბები 5 საათში იხსნებოდა, წყალში მოთავსებული აბების გასახსნელად კი მხოლოდ 10 წუთია საჭირო. ექსპერიმენტის შედეგები 18 მოხალისე სტუდენტზე ჩატარებულმა კვლევამაც დაადასტურა.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

## ევროკომისია: „თურქეთი ევროკავშირის წევრი ვერ გახდება“

ევროკავშირის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, რომ თურქეთი ევროკავშირის წევრი ვერ გახდება.

— დღეს ეს ქვეყანა ამას არცერთი პარამეტრით არ იმსახურებს, — თქვა იუნკერმა.

ამავე დროს, იუნკერმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები ანკარასთან გაგრძელდება, თუმცა, თუკი თურქეთმა სიკვდილით დასჯა აღადგინა, ყველაფერი უმალ შეწყდება.

— ჩვენთვის მთავარია სიტყვის თავისუფლება და ადამიანის უფლებები, — თქვა იუნკერმა.

## რუსები მედვედევის გადადგომას მოითხოვენ

პეტიციას რუსეთის პრემიერ დიმიტრი მედვედევის გადადგომის შესახებ ხელი უკვე 120.000-მა მოქალაქემ მოაწერა. ასეთი უკმაყოფილების მიზეზი მედვედევის ტელეინტერვიუ გახდა.

— არ მესმის, მასწავლებლები რად უჩივიან ხელფასის ნაკლებობას? ბატონებო, თუ ფული გსურთ იშოვოთ, ბიზნესში წადით! — თქვა მედვედევმა.

## ტაჯიკეთში სიკვდილით დასჯის აღდგენა სურთ

ტაჯიკეთის გენერალურმა პროკურორმა იუსუფ რაჰმონმა განაცხადა, რომ მდგომარეობა რესპუბლიკაში იძაბება, მოსალოდნელია ისლამისტი-ტერორისტების გააქტიურება, დივერსიები, აფეთქებები.

— მე სიკვდილით დასჯის აღდგენის მომხრე ვარ, — თქვა იუსუფ რაჰმონმა.

ტაჯიკეთში სიკვდილით დასჯა 2014 წელს გააუქმეს.

## ეგვიპტე: მოკლულია ისლამისტების ლიდერი

ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა ქალაქ არიშთან ჩაატარეს ოპერაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ძალების წინააღმდეგ. ავიაციამ ექსტრემისტების ტერიტორიაზე დარტყმები განახორციელა.

— შედეგად ლიკვიდირებულია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელი ალ-ანასარი, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ალ-ანასარისთან ერთად დაიღუპა 46 ბოევიკი-ექსტრემისტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში: ჰილარი კლინტონმა პოზიციები გაიმყარა



დონალდ ტრამპის ყველაზე მთავარი მტერი თავად ტრამპია. ამაზე ყველა ექსპერტი მიუთითებს. დემოკრატიული პარტიის ყრილობის შემდეგ ტრამპის რეიტინგი მკვეთრად დაეცა. ამან, როგორც ჩანს, მილიარდერი შეაშფოთა. მისი განცხადებებიც აშკარად ისტერიული გახდა.

— სახელმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობისას ჰილარი კლინტონი ტერორისტებს აფინანსებდა. მხედველობაში მაქვს ალ-ქაიდა და მსგავსი ორგანიზაციები, — ჩვეული რიხით გამოაცხადა ტრამპმა.

მილიარდერი არც ამას დასჯერდა. მან დაიწყო მტკიცება კლინტონების ოჯახის კავშირზე მაფიასთან, დაადანაშაულა ისინი კორუფციაში და ა.შ. ტრამპი არც პირდაპირ მუქარას მოერიდა:

— როცა ხელისუფლებაში მოვალ, მისის კლინტონი და მისი მეუღლე, ღრმად პატივცემული ბილ კლინტონი, გისოსებს მიღმა აღმოჩნდებიან!

მილიარდერმა პუტინის მიმართ მორიგი რევერანსები გააკეთა. მან განაცხადა, რომ რუსეთის გარეშე საერთაშორისო ტერორიზმის დამარცხება შეუძლებელია.

— არ მესმის, ობამას ადმინისტრაცია ამას რატომ ეწინააღმდეგება! პუტინს სურს, ისლამისტები დაამარცხოს. რატომ ვუშლით ამაში ხელს?!

ამ განცხადებებმა ტრამპის რეიტინგის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია. თანახმად „ფოქს ნიუსის“ მონაცემებისა, ჰილარი კლინტონს მხარს უკვე 49 პროცენტი უჭერს, დონალდ ტრამპს – 39%.

სხვა მონაცემები ასეთ სურათს გვიჩვენებს: ჰილარი კლინტონი – 49 პროცენტი, დონალდ ტრამპი – 38%. ყველა ერთსულოვანია ერთში: ტრამპის რეიტინგი ეცემა, ჰილარი კლინტონი კი ქულებს აგროვებს.

რაც შეეხება მდგომარეობას ცალკეულ შტატში, აქაც ქალბატონი ჰილარის უპირატესობა აშკარაა. მისის კლინტონი დომინირებს ისეთ მნიშვნელოვან შტატებში, როგორებიცაა მიჩიგანი, პენსილვანია და ა.შ. ეს მაშინ, როცა დონალდ ტრამპი იქ ძალიან აქტიურ აგიტაციას ეწევა. ჰილარი კლინტონს მხარს უჭერს თვით რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთ წარმომადგენელიც, რაც გაუგონარი მოვლენაა.

— აქამდე აშშ-ის ისტორიაში არასოდეს ყოფილა, რომ რესპუბლიკელები თავიანთი კანდიდატის ნაცვლად მხარს დემოკრატებს უჭერდნენ. ტრამპი, ალბათ, გინესის წიგნში შევა, რადგანაც თავისი პარტიის წევრები აიძულა, მხარი ჰილარისათვის დაეჭირათ, — იტყობინება ბიბისი.

ამრიგად, სადღეისოდ ჰილარი კლინტონის უპირატესობა აშკარაა. საპრეზიდენტო არჩევნები რომ აგვისტოში ჩატარებულიყო, ჰილარი კლინტონი ამერიკის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ქალი გახდებოდა. ვნახო, რა სურათი იქნება შემოდგომისათვის.

# უკრაინის პარლამენტი საპასუხო ნაბიჯისათვის ემზადება



პოლონეთის სეიმის მიერ ვოლინის ტრაგედიის პოლონელთა გენოციდად გამოცხადებამ უკრაინელთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. უკრაინის პარლამენტშიც დარეგისტრირდა კანონპროექტი პოლონეთის სახელმწიფოს მიერ უკრაინელთა გენოციდის შესახებ (1919-51 წწ). საუბარია ისეთ პროცესებზე, როგორებიცაა პოლონეთის მიერ დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია (1919 წ.), ე.წ. „პაციფიკაცია“ ანუ სადამსჯელო აქციები, რასაც პოლონური ხელისუფლება 1929-32 წლებში დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე ახორციელებდა, მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონელთა მიერ დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე გატარებული სისხლიანი და პროვოკაციული აქციები. ასეთ ოპერაციებს ახორციელებდნენ როგორც პროკომუნისტური არმია „ლიუდოვა“, ასევე ექსტრემისტული დაჯგუფება ნსზ (სახალხო შეიარაღებული რაზმები), „არმია კრაიოვა“ და ა.შ. საყოველთაოდაა ცნობილი იატაკქვეშა პოლონური ორგანიზაცია „ბლესკის“ საქმიანობა, რომელიც 1941-44 წლებში დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედებდა. ეს დაჯგუფება ორმაგი (საბჭოთა და ნაცისტური გერმანიის) აგენტებით იყო დაკომპლექტებული.

ეთნოწმენდებს ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. 1947 წელს უკვე კომუნისტური პოლონეთის ხელისუფლებამ უკრაინელთა წინააღმდეგ მასობრივი ეთნოწმენდა განახორციელა. ეს მოვლენა ისტორიაში ოპერაცია „ვისლას“ სახელწოდებით შევიდა.

— პოლონეთში არავის აქვს უფლება, უკრაინელების მიერ პოლონელთა გენოციდზე ილაპარაკოს. პირიქით, თავად პოლონეთმა ჩვენ წინააღმდეგ არაერთი სისხლიანი პროვოკაცია თუ ეთნოწმენდა განახორციელა, მათ შორის სტალინური შინსახკომისა და გესტაპოს დახმარებით, — თვლის უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი ოლეგ ლიაშკო.

უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფი, გენერალი ევგენი მარჩუკი მიიჩნევს, რომ წარსულის ქექვა არც უკრაინას, არც პოლონეთს კარგს არაფერს მოუტანს. მარჩუკმა აღნიშნა, რომ პოლონურ-უკრაინულ ურთიერთობებში უამრავი უსიამოვნო მომენტია, რაც მეცნიერთა გულმოდგინე შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

— დღეს აქცენტი ჩვენი პარტნიორობის განმტკიცებაზე უნდა გავაკეთოთ, ისტორია მეცნიერებმა შეისწავლონ, ჩვენ, პოლიტიკოსებმა კი პოლონეთ-უკრაინას შორის კავშირის განმტკიცებაზე უნდა ვიზრუნოთ. პოლონეთსა და უკრაინას დღეს ძალზე ბევრი რამ აერთიანებს, — თქვა მარჩუკმა.

## კოსოვოს პარლამენტის შენობას ხელყუმბარა ესროლეს

უცნობმა მამაკაცმა კოსოვოს პარლამენტს ხელყუმბარა ესროლა. შენობა სერიოზულად დაზიანდა. თავად მამაკაცმა შეძლო გაქცევა.

ექსპერტები თვლიან, რომ ტერაქტი კოსოვო-ჩერნოგორიას შორის საზღვრების თაობაზე ხელშეკრულებამ გამოიწვია. პარლამენტი მის რატიფიცირებას აპირებს. ამ ხელშეკრულებას მხარს უჭერენ ვაშინგტონი და ბრიუსელი, მაგრამ კოსოვოს ოპოზიციური პარტიები ამ შეთანხმების რატიფიკაციის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან.

— ტერაქტიც ამან განაპირობა, — იტყობინება ბიბისი.

ლატვიის ნაპირებთან რუსული წყალქვეშა ნავი აღმოაჩინეს.

ლატვიის ნაპირებთან რუსული წყალქვეშა ნავი აღმოაჩინეს. ამის თაობაზე ლატვიის თავდაცვის სამინისტრო იუწყება.

— რუსები ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდნენ, — აცხადებენ ლატვიელი სამხედროები.




## შტაინმაიერი: „ტრამპი სიძულვილის მქადაგებელია!“

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში ნაციონალიზმის უმაგალითო აღზევება შეინიშნება. შტაინმაიერის აზრით, თუკი ეს პროცესი გაგრძელდა, ეს კაცობრიობას კარგს არაფერს მოუტანს. შტაინმაიერი თვლის, რომ აშშ-ის პრეზიდენტად ტრამპის არჩევა პროფაშისტური ანტიდემოკრატიული ელემენტების კიდევ უფრო გაძლიერებას გამოიწვევს.

— ტრამპი სიძულვილის მქადაგებელია, — თქვა შტაინმაიერმა.

## ბარაქ ობამა: „რუსებს არ ვენდობი“



აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ დასუსტდა და ეს იმ კომპლექსური ღონისძიებების შედეგია, რომლებიც აშშ-ის ხელმძღვანელობით გატარდა.

— მიუხედავად ამისა, ეს ორგანიზაცია ბოლომდე ჯერჯერობით არ არის განადგურებული და მის წინააღმდეგ ოპერაციებიც გაგრძელდება! — თქვა ობამამ.

ობამამ დადებითად შეაფასა აქციები, რომლებიც სირიაში ტერორისტების წინააღმდეგ განხორციელდა. ამავე დროს, ამერიკის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი არა ტერორიზმის წინააღმდეგ, არამედ ხელისუფლებაში ასადის დარჩენისათვის იბრძვის.

— არც რუსებს, არც პუტინს არ ვენდობი! — ამბობს ობამა.

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მაღალი ხარისხის სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) გარანტიით, ძირითადად იაპონური და გერმანული წარმოების. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● ვაქირავებსაკუთარსახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43..

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას — მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# გარდამავალი ჩემპიონატი 7 აგვისტოს იწყება

7 აგვისტოს ფეხბურთში საქართველოს 28-ე ეროვნული ჩემპიონატი იწყება. მანამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც სფფ-ის სადისციპლინო კოდექსი, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგებისა და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის 27-ე გათამაშების დებულება და კალენდრები დამტკიცდა. უმაღლეს ლიგაში გარდამავალი სეზონი 7 აგვისტოს დაიწყება, პირველი ლიგა კი, 19 აგვისტოს. რაც შეეხება საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებას, ის 15 აგვისტოს აიღებს სტარტს. აღმასკომმა მეორე ლიგის ფორმატიც დაამტკიცა. გათამაშებაში მონაწილეობას 67 გუნდი მიიღებს და ისინი ტერიტორიული პრინციპით 8 ქვეჯგუფში გადანაწილდებიან. რვავე ქვეჯგუფის გამარჯვებული პირდაპირი გზით მოიპოვებს ეროვნულ ლიგა 1-ის საგზურს. რაც შეეხება ჯგუფში მეორიდან მეექვსე ადგილამდე გუნდებს, აღნიშნული 40 გუნდი ეროვნულ ლიგა 2-ში იასპარეზებს. ასევე დამტკიცდა ასაკობრივი ჩემპიონატების ფორმატიც: 19-წლამდე ლიგა, სადაც 16 გუნდი იასპარეზებს, ორ ჯგუფად დაიყოფა – დასავლეთ და აღმოსავლეთ ჯგუფებად. პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები ჯვარედინად შეხვდებიან ერთმანეთს ნახევარფინალსა და ფინალში. აღმასკომმა სუპერთასის საკითხზეც იმსჯელა და გადაწყდა, რომ მომდევნო სუპერთასი 2017 წლის სეზონის დასაწყისში ჩატარდება და ტრადიციულად, საფეხბურთო სეზონს ყოველთვის სუპერთასი გახსნის. სუპერთასში მონაწილეობას მიიღებენ ჩემპიონატის გამარჯვებული და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი. აღმასკომის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში თუკი ჩემპიონი და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი ერთი და იგივე გუნდი აღმოჩნდება, ჩემპიონს მე-2 ადგილოსანი დაუპირისპირდება.

## უმაღლესი ლიგის კალენდარი:

### წითელი ჯგუფი

07.08
1 ტური
ზუგდიდი-კოლხეთი
დინამო(ბთ)-სამტრედია
სიონი-საბურთალო

14.08
მე-2 ტური
სამტრედია-სიონი
კოლხეთი-დინამო(ბთ)
დილა-ზუგდიდი

20.08
მე-3 ტური
დინამო(ბთ)-დილა
სიონი-კოლხეთი
საბურთალო-სამტრედია

27.08
მე-4 ტური
კოლხეთი-საბურთალო
დილა-სიონი
ზუგდიდი-დინამო(ბთ)

10.09
მე-5 ტური
სიონი-ზუგდიდი
საბურთალო-დილა
სამტრედია-კოლხეთი

17.09
მე-6 ტური
დილა-სამტრედია
ზუგდიდი-საბურთალო
დინამო(ბთ)-სიონი

24.09
მე-7 ტური
საბურთალო-დინამო(ბთ)
სამტრედია-ზუგდიდი
კოლხეთი-დილა

01.10
მე-8 ტური
კოლხეთი-ზუგდიდი
სამტრედია-დინამო(ბთ)
საბურთალო-სიონი

15.10
მე-9 ტური
სიონი-სამტრედია
დინამო(ბთ)-კოლხეთი
ზუგდიდი-დილა

22.10
მე-10 ტური
დილა-დინამო(ბთ)
კოლხეთი-სიონი
სამტრედია-საბურთალო

29.10
მე-11 ტური
საბურთალო-კოლხეთი
სიონი-დილა
დინამო(ბთ)-ზუგდიდი

05.11
მე-12 ტური
ზუგდიდი-სიონი
დილა-საბურთალო
კოლხეთი-სამტრედია

19.11
მე-13 ტური
სამტრედია-დილა
საბურთალო-ზუგდიდი
სიონი-დინამო(ბთ)

26.11
მე-14 ტური
დინამო(ბთ)-საბურთალო
ზუგდიდი-სამტრედია
დილა-კოლხეთი

### თეთრი ჯგუფი

07.08
1 ტური
ტორპედო-შუქურა
ჩიხურა-დინამო(თბ)
გურია-ცხინვალი

13.08
მე-2 ტური
დინამო(თბ)-გურია
შუქურა-ჩიხურა
ლოკომოტივი-ტორპედო

20.08
მე-3 ტური
ჩიხურა-ლოკომოტივი
გურია-შუქურა
ცხინვალი-დინამო(თბ)

27.08
მე-4 ტური
შუქურა-ცხინვალი
ლოკომოტივი-გურია
ტორპედო-ჩიხურა

10.09
მე-5 ტური
გურია-ტორპედო
ცხინვალი-ლოკომოტივი
დინამო(თბ)-შუქურა

17.09
მე-6 ტური
ლოკომოტივი-დინამო(თბ)
ტორპედო-ცხინვალი
ჩიხურა-გურია

24.09
მე-7 ტური
ცხინვალი-ჩიხურა
დინამო(თბ)-ტორპედო
შუქურა-ლოკომოტივი

01.10
მე-8 ტური
შუქურა-ტორპედო
დინამო(თბ)-ჩიხურა
ცხინვალი-გურია

15.10
მე-9 ტური
გურია-დინამო(თბ)
ჩიხურა-შუქურა
ტორპედო-ლოკომოტივი

22.10
მე-10 ტური
ლოკომოტივი-ჩიხურა
შუქურა-გურია
დინამო(თბ)-ცხინვალი

29.10
მე-11 ტური
ცხინვალი-შუქურა
გურია-ლოკომოტივი
ჩიხურა-ტორპედო

05.11
მე-12 ტური
ტორპედო-გურია
ლოკომოტივი-ცხინვალი
შუქურა-დინამო(თბ)

19.11
მე-13 ტური
დინამო(თბ)-ლოკომოტივი
ცხინვალი-ტორპედო
გურია-ჩიხურა

26.11
მე-14 ტური
ჩიხურა-ცხინვალი
ტორპედო-დინამო(თბ)
ლოკომოტივი-შუქურა

# ირაკლი ჩიქოვანი: „ლუქსემბურგი და იტალია გადაულახავი ბარიერი არ არის“




2015-16 სეზონი ქართველი ხელბურთელებიდან ყველაზე წარმატებული ირაკლი ჩიქოვანისთვის იყო. ქართველი შუამარბი ტიმიშოარას პოლიტექნიკას შემადგენლობაში რუმინეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მიუხედავად წარმატებული სეზონისა, 27 წლის ხელბურთელმა გუნდი მაინც გამოიცვალა და ახალი სეზონიდან კარიერას დუნარეა კელერაშიში გააგრძელებს.

ჩიქოვანმა ნახევარფინალური შეხვედრები მეოთხედფინალში მომხდარი ინციდენტის შედეგად მიღებული დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, რაც პოლიტექნიკასთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა და ბუქარესტის დინამოს წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ჩიქოვანი საქართველოს ნაკრების ლიდერიც არის. ჩვენს ნაკრებს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სერიოზული გამოცდა ელის ლუქსემბურგისა და იტალიის ნაკრებებთან. ირაკლიც თავის საკლუბო და სანაკრებო კარიერაზე საუბრობს.

***– სანამ აქტუალურ თემებზე გადავალთ, ცოტა შორიდან დავიწყოთ და მოგვიყევით როდის და რის გამო დაიწყეთ ხელბურთის თამაში?***

– 1989 წლის 28 ივლისს დავიბადე, ხელბურთზე კი მამის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, 14 წლის ასაკში შევედი. პირველი მწვრთნელები ბექა ორჯონიკიძე და გიორგი გოცირიძე იყვნენ, რომლებმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში.

***– კარიერის განმავლობაში რამდენ გუნდში გითამაშიათ?***

– სტუ-ს ვარჯიშებზე სიარულს შევარდენი მოჰყვა, რის შემდეგაც ევროპაში გავემგზავრე და სამ იქაურ გუნდში, სერბეთის მეტალოპლასტიკაში, რუმინეთის ოდორჰეიში და ტიმიშოარაში ვითამაშე, ახლა დუნარეაში ვარ.

***– დუნარეა კელერაშისთან რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ?***

– ერთწლიანი. უკვე ორი წელია, ეს გუნდი უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობს, წლევანდელ სეზონში კი მიზნად ოთხეულში მოხვედრა აქვს დასახული. შევეცდები კარგად ვითამაშო და გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო.

***– ახლა უკვე თქვენს ყოფილ გუნდზე, პოლიტექნიკაზე რისი თქმა შეგიძლიათ?***

– გასულ სეზონში როგორც კლუბის ხელმძღვანელებს, ასევე გულშემატკივრებს, ხელბურთელებმა ნამდვილი სიურპრიზი გავუკეთეთ და ჩემპიონატში მე-3 ადგილზე გავედით. არადა, სეზონის წინ, კლუბის შეფები გვეუბნებოდნენ, რომ თუ პირველ 8 გუნდში მოვხვდებოდით და პლეი-აუტს თავიდან ავიცილებდით, ძალიან მაგარი შედეგი იქნებოდა. ასეთი კარგი განწყობის ფონზე, ალბათ ცოტა უცნაურად გეჩვენებათ ჩემი მხრიდან გუნდის გამოცვლა, მაგრამ გუნდში ფინანსური პრობლემები დაგროვდა და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კლუბის შეფებს ჩემი და კიდევ რამდენიმე წამყვანი ხელბურთელის გასხვისება სახელფასო ბიუჯეტის შეკვეცის გამო სურდათ, თან, კონტრაქტიც დამიმთავრდა.

***– სტიაუასთან მეოთხედფინალური მატჩის დროს ერთ უსიამოვნო ინციდენტს ქონდა ადგილი მეტოქე გუნდის ესტონელ ხელბურთელთან, რის გამოც სადისციპლინო კომიტეტმა 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაგსაჯათ. რეალურად რა მოხდა?***

– განსაკუთრებული არაფერი. ამ ხელბურთელთან, მარტინ იოჰანსონთან ერთად, ადრე ოდორჰეიში ვთამაშობდი და მატჩის შემდეგ ერთმანეთის მიმართ არანაირი პრეტენზიები არ გვქონია. სხვათა შორის, ალბათ რეალური იქნებოდა პოლიტექნიკას მხრიდან აპელაციის შეტანა, მაგრამ გაგიკვირდებათ და ასეთ შემთხვევაში არსებობდა დიდი შანსი იმისა, რომ დისკვალიფიკაცია შემცირების ნაცვლად, გაზრდილიყო. შეიძლება ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ყველაფერი დღესავით ნათელია – მთელი სეზონის განმავლობაში ბუქარესტის დინამო ფედერაციის ხელმძღვანელებისა და, ავტომატურად, მსაჯების მხრიდან დიდი სიმპათიებით სარგებლობდა და ამ გუნდის ჩემპიონობა თითქოს წინასწარ იყო დაგეგმილი. ახლა მაგაზე საუბარს აზრიც აღარ აქვს და მხოლოდ ახალ გუნდზე ვარ კონცენტრირებული. დუნარეამ, ჩემ გარდა, კიდევ შვიდი ახალი ხელბურთელი დაიმატა და წესით საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი უნდა გვყავდეს.

***– ხელბურთის ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის გათამაშება რამდენად მოგეწონათ?***

– ეს ტურნირი და მთლიანად ევროპული ხელბურთი წლიდან წლამდე სულ უფრო დინამიური ხდება. ჩემი ოცნებაა ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა და დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ავისრულებ.

***– არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, კარიერის გაგრძელებას რომელ კლუბში ისურვებდით?***

– ბარსელონა ან კილი. საერთოდ, გერმანია და იქაური გუნდები ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, ფეხბურთსაც ხშირად ვუყურებ და მიუნხენის ბაიერნის ქომაგი ვარ.

***– რუმინეთის ჩემპიონატი რამდენად მაღალი დონისაა?***

– საკმაოდ კარგი დონისაა. 4-5 გუნდია ისეთი, სადაც სტაბილურად დიდი ფული იდება, უმაღლეს ლიგაში წელს გადმოსული ერთ-ერთი კლუბის ბიუჯეტი კი 800.000 ევროა.

***– ეროვნულ ნაკრებზეც ვისაუბროთ... შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქეები ლუქსემბურგი და იტალია იქნებიან. რამდენად კმაყოფილი ხართ წილისყრის შედეგებით?***

– გადაულახავი ბარიერი არც ერთი არ არის. მთავარია, ნაკრების ყველა წამყვანი ხელბურთელი მწყობრში იყოს და ამ მეტოქეების დამარცხება ნამდვილად შეგვიძლია. რაც შეეხება მთავარ მწვრთნელს, ეს საკითხი უფრო ფედერაციის პრეროგატივაა და ამაში ნამდვილად ვერ ჩავერევი. ხელბურთის ქართველს გულშემატკივარს ერთს ვპირდები – ნებისმიერი მწვრთნელის მოსვლის შემთხვევაში, ბოლომდე დავიხარჯები.

***– როგორი უნდა იყოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი?***

– დისციპლინის მოყვარული. დისციპლინას კი გუნდში მთავარ მწვრთნელთან ერთად, კაპიტანიც უზრუნველყოფს.

***– ზოგადად ქართულ ხელბურთში არსებულ მდგომარეობას როგორ შეაფასებდით?***

– ბოლო პერიოდში სასიკეთო ძვრები აშკარად შეინიშნება. პირველ რიგშია აღსანიშნავია ქალთა ხელბურთის განვითარებისთვის ფედერაციის მხრიდან გადადგმული ქმედითი ნაბიჯები. მართალია, გოგონათა ნაკრების მატჩებს გადატვირთული გრაფიკისა და დროის უქონლობის გამო ვერ ვუყურებ, მაგრამ მეგობრებისგან ვიცი, რომ საკმაოდ კარგი გუნდი შეიკრა. თუმცა, მუშაობა კიდევ საჭიროა და ყურადღება როგორც ბავშვთა ხელბურთის განვითარებას, ასევე მწვრთნელთა გადამზადებას უნდა მიექცეს.

***– რამდენად აქვთ ახალგაზრდა ქართველ ხელბურთელებს ევროპაში თამაშის პოტენციალი?***

– ძალიან საწყენია ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის დონე დაბალია და თუ რომელიმე ხელბურთელს წინსვლა მართლაც სურს, კარიერა რაც შეიძლება მალე უნდა გააგრძელოს საზღვარგარეთ.

# რა პოზიციაზე ითამაშებს პოგბა მანჩესტერში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნებს თავის სხეულს, ის საკმაოდ მოქნილი და მობილურია.

ტურინში ცენტრის სიღრმეში თამაშისას ის ხშირად „მაროდიორობდა“, მაგრამ პრემიერლიგის ნახევარდაცვაში უფრო ინტენსიური ორთაბრძოლები მიმდინარეობს.

**ჩამშლელი ნახევარმცველი**

ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე დეშამმა პოგბას სწორედ დაცვითი ფუნქციები გადაულოცა, შემტევი ფუნქციები კი გრიზმანს მიანდო. მიუხედავად იმისა, რომ პოგბა გასული ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ იმედგაცრუებად ითვლება, იუნაიტედის გულშემატკივრები თავს ინუგეშებენ იმით, რომ ჩამშლელი ნახევარმცველის ფუნქცია სულაც არაა ყოველთვის ყურადღების ცენტრში ყოფნა.

ფერგიუსონის ეპოქაში მაშინდელი მანჩესტერის „ძრავი“ როი კინი გახლდათ, რომელმაც უდიდესი წვრილი შეიტანა კლუბის წარმატებებში. როის მთავარი მოვალეობა ნახევარდაცვის კონტროლი და მისი „დაქოქვა“ იყო. იუნაიტედის გულშემატკივრები კი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პოგბას ჩამშლელ ნახევარმცველობას უკვე სკეპტიკურად უყურებენ, თუმცა ფინალის ანალიზი აჩვენებს, რომ პოგბამ დაცვითი ფუნქციები კარგად შეასრულა.

**შემტევი ნახევარმცველი**

სანამ პოგბა საფრანგეთის მთავარი იმედი გახდებოდა, მას ხშირად ადარებდნენ ზიდანს, რადგან ორივე მათგანი ხომ „ზებერი ქალბატონის“ ღირსებას იცავდა.

პოგბასგან განსხვავებით ზიდანი, გამოსდიოდა თუ არა მას თამაში, „არ ქრებოდა“ მოედანზე, ეძებდა თავისუფალ ზონებს, შედიოდა ორთაბრძოლებში და თვითონვე ითავისუფლებდა ზონებს, იღებდა ბურთს და ჩადიოდა მასთან ერთად მაგიას.

მარცხნივ მარსიალი, მარჯვნივ მხითარიანი, წინ იბრაჰიმოვიჩი და ტრიოს უკან პოგბა?

მანჩესტერელთა ამჟამინდელი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ანალოგიურ პოზიციაზე ჩელსიში ოსკარს იყენებდა, მიუხედავად იმისა, რომ ოსკარი პოგბას კლასით ჩამოუვარდება, ძალზე სასარგებლო იყო მოურინიოსთვის. მაგრამ, იქნება თუ არა პოგბა „ათიანი“ მანჩესტერში? სანამ ამ კითხვას გასცემდეთ პასუხს, მეორე შეკითხვას დაგისვამთ: სად ითამაშებს იუნაიტედის კაპიტანი უეინ რუნი?

**თავისუფალი მხატვარი**

პოგბა ითამაშებს იუნაიტედის ირგვლივ თუ მოურინიო აათამაშებს გუნდს ფრანგის ირგვლივ?

ჩელსიში დაბრუნებულმა მოურინიომ გუნდში მაშინვე მიიყვანა სესკ ფაბრეგასი და ცენტრის სიღრმეში დააყენა. სესკი გუნდის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა, დაცვით ფუნქციებთან ერთად ის გუნდის თამაშს აკონტროლებდა და მიმართულებას უწევდა. შესაძლოა ღირდეს პოგბასთვის სრული თავისუფლების მიცემა, ბურთის ფლობა, შეტევების წარმართვა, ცენტრის „დირიჟორობა“. იმის გათვალისწინებით, რომ პოგბა, როგორც ნახევარმცველი, ძალზე შედეგიანია, ამ როლზე მოურინიო აუცილებლად დაფიქრდება.

ბევრი იქნება დამოკიდებული სქემებზე, მოურინიომ გუნდი წინასასეზონო თამაშებში 4-2-3-1 სქემით, თუმცა პორტუგალიელი კარგი და გამოცდილია 4-3-3 სისტემაში. ინგლისში სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ფეხბურთელებით იუნაიტედის ეს სქემა იდეალური იქნება. როგორც აღინიშნა, იუვენტუსში პოგბა საუკეთესოდ თავს მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გრძნობდა თანამემამულე ევრასთან ერთად. თუ მანჩესტერში პოგბა იმავე პოზიციაზე დადგება, ლუკ შოუ მისთვის ისევე პროდუქტული შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ევრა იყო.

ბოლო ფეხბურთელი, რომელსაც დიდი თავისუფლება ჰქონდა მოედანზე, ეს იყო ანხელ დი მარია, მაგრამ პოგბა არგენტინელისგან რადიკალურად განსხვავდება. ფრანგს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ ეს თავისუფლება გამოიყენოს და ცენტრს სრულიად დაეპატრონოს. მიეცეს პოგბას სრული თავისუფლება ნახევარდაცვის ცენტრში, ყველაზე უფრო კარგი გამოსავალია. ეს იქნება პოზიცია, საიდანაც ფრანგი ყველაზე მეტ სარგებელს მოიტანს. მას შეეძლება როგორც დაცვითი ფუნქციების შესრულება, ასევე ბურთის გაკონტროლება და ის, რაც მას ყველაზე უფრო მეტად უყვარს, საგოლე პასებისა თუ საკუთარი დრიბლინგისა და ტექნიკის ხარჯზე საგოლე მომენტების შექმნა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა



# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 8 აგვისტო

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.00 ან/სერ. "მხიარული ფერმა" 09.00 ოლიმპიადა — "რიო 2016" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "დღე მუზეუმში" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე 14.00 "ფერმა" 14.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – აგვისტო 16.30 "ოლიმპიური დღიური" 17.00 ოლიმპიადა — "რიო 2016

08.00 დ/ფ "წელიწადის დროთა ფენომენი" 09.00 დ/ფ "აამენე უფრო დიდი" 10.00 დ/ფ "ეფლი" 11.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" 12.00 ტ/სერ. "ევას სამი ვარდი" 13.00 "თოფ გიარი" 14.00 მხ/ფ "აეროპორტი 77" (ჯ.ლემონი) 16.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 16.30 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 17.20, 21.35 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 18.30 ტ/სერ. "ამერიკული ოდისეა" 19.30 "ტელებლოგი" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.00 ოლიმპიური დღიური - "ათენიდან ათენამდე" 22.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "თავისუფლების ყიჟინა"

06.00 სერ. "დახურული სკოლა" 07.00, 14.40 სერ. "ფიცი" 08.00, 16.00 სერ. "თანხმობა" 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "ბამბის ველი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 11.20 სერ. "ჟუმონგი" 12.20 ქ.მხ/ფ "ბაში - აჩუკი" 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ" 23.00 სერ. "სპარტაკი" 8 სერ. 00.00 მხ/ფ "სისხლის და თაფლის მხარეში" 02.30 მხ/ფ "მეომრის გზა" 04.05 მხ/ფ "საბედისწერო ნიშნები"

06.30 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 07.30 დ/ფ შ.მალაშხია 08.30, 09.10, 01.00, 03.30 მხ/ფ 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 სერ. "გაბრიელა" 15.55 სერ. "ქარადაი - ახალგაზრდობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.45 სერ. "ცხოვრების გზები" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 22.00 დ/ფ "აგვისტოს ომი 1-2" თ.ჩაგელიშვილი 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 ან/სერ. - "ავატარი" 09.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00, 00.25 სერ. "გრეის ანატომია" 13.00, 02.15 სერ. "ძვლები" 15.00 მხ/ფ "იქს–ადამიანები" 17.00 აირჩიე კაბა რენდისთან ერთად 17.30 სერ. "მსახიობი მამა" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 21.30 მხ/ფ "ფანტასტიკური ოთხეული" 23.25 სერ. "ამერიკული საშინელებათა ისტორია"

06.15 ღვთის სახლი "კომანი"

